პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ორშაბათი
9
სექტემბერი
1935 წ.
№ 210 (4366

ფასი 10 კაპ.

დღის ნომერში

— რკინიგზელთა ღირსების საქმე („პრავდის“ მეთაური).
— ა. მგელაძე ბოლშევიკურად შევასრულოთ საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმის დირექტივები.
— მოსკოვის კვანძის რკინიგზელთა შეკრება.
— ველო-გადარბენის მონაწილენი ამხ. კაგანოვიჩთან.
— ანრი ბარბიუსის დაკრძალვა.
— რომენ როლანის უკანასკნელი მიმართვა ბარბიუსისადმი.
— საფრანგეთის კომპარტიის მიმართვა მოქმედების ერთიანობის შესახებ.
— ამხ. ლიტვინოვის განცხადება.
— აბისინიის მთავრობის ახალი მიმართვა ერთა ლიგას.
— მეორე და ამსტერდამის ინტერნაციონალების კონფერენცია.
— ინგლისის პროფკავშირთა ყრილობაზე.

რკინიგზელთა ღირსების საქმე

სოციალისტურმა ტრანსპორტმა უკანასკნელ დროს მიაღწია დიდ მატერიალურ შედეგებს, რომლებსაც უკვე გრძნობს მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი სახალხო მეურნეობა. ახლა არავის აღარ შეუძლია უსაყვედუროს რკინიგზელებს, რომ ისინი კუდში მისჩანჩალებენ და მრეწველობის მუშაობას აფერხებენ. ახლა რკინიგზელები ჩვენს ქვეყანაში პატივცემული ადამიანები ხდებიან. შავი მეტალურგიის მუშაკებთან ერთად, სოციალიზმის მშენებელთა მთელ არმიასთან ერთად ისინი წარმატებით მუშაობენ ჩვენი მრეწველობის აყვავებისათვის, სოციალისტურ სამშობლოს თავდაცვის უნარის განმტკიცებისათვის.

და რაც მთავარია—ტრანსპორტის მუშაკები არ ეძლევიან განცხრომას, არ კმაყოფილდებიან ამ პირველი წარმატებებით. მათ შეგნებული აქვთ, რომ მიღწეული წარმატებანი — ეს მხოლოდ დასაწყისია, იმ უდიდესი საქმის მხოლოდ მცირე ნაწილი, რომელსაც მოელის მათგან ჩვენი ქვეყანა, პარტია, მშრომელთა საყვარელი ბელადი — ამხანაგი სტალინი. სარკინიგზოს დიდ სახელმწიფოს ადამიანებმა კარგად იციან, რომ მათ დასვენება როდი მოელის, მათ მოელის ყველაზე უფრო ძნელი, ყველაზე უფრო მძიმე საქმე. წინაა შემოდგომა და ზამთარი, წვიმები და ყინვები, ნამქერი და ქარბუქი.

რკინიგზელთა მასობრივმა მიტინგებმა და კრებებმა, რომლებმაც ამ სამი დღის წინათ მთელს ჩვენს ქვეყანაში ჩაიარა, ცხადჰყო, რომ ტრანსპორტის მუშაკებს შეგნებული აქვთ მომენტის მთელი პასუხისმგებლობა. რკინიგზელები გვპირდებიან, მთელი თავისი ძალღონე, მთელი თავისი უნარი მოახმარონ პირველ წარმატებათა განმტკიცებას, ზამთრისათვის მზადებას და ამხანაგ სტალინის იმ დავალების შესრულებას, რომ ყოველ დღეღამეში 80 ათასი ვაგონი დატვირთონ. და თითქოს იმის დასადასტურებლად, რომ მათი დაპირება ლიტონი სიტყვები როდია, [illegible] იმავე დღეს იძლევიან ტრანსპორტის არსებობის მთელ პერიოდში უმაღლეს დატვირთვას — 78.065 ვაგონს.

მთავარია—ადამიანები. ეს დიდხანს არ ესმოდათ ტრანსპორტზე. რკინიგზები დამაკმაყოფილებლად ვერ მუშაობდნენ იმიტომ, რომ ცუდად მუშაობდნენ ადამიანები. ბოლშევიკური თვითკრიტიკა არ იყო ტრანსპორტის მუშაობაში. დისციპლინა დაბალ დონეზე იდგა. იმის ნაცვლად, რომ პატიოსნად გამოესწორებინათ შეცდომები, როგორც ამას რკინიგზელებისაგან პარტია და მთავრობა მოითხოვდნენ, ადამიანები ხშირად სიმართლეს გაურბოდნენ, ცდილობდნენ გაემართლებინათ თავიანთი ცუდი მუშაობა.

ახალმა სახალხო კომისარმა ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩმა გადაჭრით მოაბრუნა ადამიანები ამ არასწორი, არაბოლშევიკური გზიდან. მან მკვეთრად დასახა რკინიგზელთა მთელი არმიის წინაშე ბოლშევიკური დისციპლინის საკითხები. და ადამიანებმაც სწრაფად იწყეს გარდაქმნა და პატიოსანი მუშაობის ნიმუშების მოცემა.

ტრანსპორტის შემდგომი წინსვლა და მისი წარმატებითი მუშაობა შემოდგომა - ზამთრის პერიოდში დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად კიდევ უფრო მტკიცედ, კიდევ უკეთ შეითვისებს ყველა რკინიგზელი რკინისებური ბოლშევიკური დისციპლინის საჭიროებას, რამდენად სწრაფად დაეუფლებიან ასიათასობით და მილიონობით რკინიგზელთა გონებას, სულსა და ენერგიას ახალი მეთოდები, ლენინურ - სტალინური მეთოდები.

დასამალავი არაფერია. რკინიგზელთა ნაწილს დღევანდლამდე სწორად არ ესმის დისციპლინა. ადამიანებს ჰგონიათ, საკმარისია გამოიჭიმო უფროსის წინაშე, მისცე მას პატაკი და დისციპლინაც დაცულია. არა, ჩვენ, ბოლშევიკებს, ასე როდი გვესმის დისციპლინა. ჩვენი ბოლშევიკური დისციპლინა ემყარება იმას, რომ მშრომელებმა შეიგნეს თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე. ამავე დროს ეს დისციპლინა, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, უნდა გამოიხატებოდეს ტრანსპორტის მექანიზმის ყველა ნაწილის, ყველა მუშაკის შეთანხმებულ მუშაობაში.

დისციპლინის მდგომარეობა შეფასებულ უნდა იქნას არა იმის მიხედვით, რა კარგად გამოეჭიმება უმცროსი თავის უფროსს, არამედ მუშაობის მიხედვით. თუ კოლექტივი შეთანხმებულად, ორგანიზებულად მუშაობს, თუ მატარებლები დაუგვიანებლად მიმოდიან და ორთქლმავლისა და ვაგონის მიმოქცევა ნორმალურ დროში ეტევა, — ეს იმას ნიშნავს, რომ დისციპლინა ბოლშევიკურია.

ტრანსპორტზე არ არიან უსარგებლო და უმნიშვნელო ადამიანები. ყველა რკინიგზელი ერთნაირად მნიშვნელოვანია, ყველა დიდია ტრანსპორტის საქმისათვის: და ყოველი მათგანი, იქნება იგი მემანქანე, მესტრე, განყოფილების უფროსი, მატარებლის შემდგენი, კონდუქტორი, თუ ხამლაგებელი ქალი, — ყველა უნდა მუშაობდეს პატიოსნად, წესიერად კეთილსინდისიერად.

ზამთრისათვის ბოლშევიკური მზადება უწინარეს ყოვლისა, მდგომარეობს იმაში, რომ ყოველმა რკინიგზელმა, რა თანამდებობაც უნდა ეჭიროს მას, რა სამუშაოსაც უნდა ასრულებდეს, გულდასმით შეამოწმოს, მოამზადოს თავისი უბანი და თვითონაც კარგად მოემზადოს. თუ მემანქანე ხარ, წინასწარ მოამზადე მანქანა და ისე მოაწყე შენი მუშაობა, რომ ორთქლმავალი სწრაფად ბრუნდებოდეს და რომ იგი თავის ნორმას სამუშაო დროში ასრულებდეს. თუ სალიანდაგო მეურნეობის მუშაკი ხარ, კარგად შეაკეთე ზამთრისათვის ის უბანი, რომელიც შენ გაბარია და სასტიკად ადევნე მას თვალყური. თუ მევაგონე ხარ, წინასწარ მოამზადე ზამთრისათვის სარემონტო სახელოსნოები, იარაღი და სხვ.

ზამთრისათვის უნდა იმზადებოდეს ტრანსპორტის ყველა დარგი, რკინიგზების ყველა მუშაკი. მხოლოდ ამ პირობით იქნება განმტკიცებული პირველი წარმატებანი და შესრულდება ბელადის დავალება— ყოველ დღეღამეში 80 ათასი ვაგონის დატვირთვა.

მაგრამ ზამთრისათვის ტრანსპორტის მომზადება —მარტო რკინიგზელთა საქმე როდია. ეს არის საერთოსახელმწიფო საქმე. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები უნდა დაეხმარონ ტრანსპორტს და ყოველმხრივ გააკეთონ იმისათვის, რომ მათ მხარეში, მათ რაიონში მდებარე გზები, სადგურები, ასაქცევები, სადარაჯო ჯიხურები, დეპოები, სავაგონო უბნები სავსებით მომზადებული და სავსებით შეიარაღებული შეხვდნენ ზამთარს, პოლესელ კოლმეურნეთა გამოცდილება, რომლებმაც წინა ზამთრებში დიდი სამსახური გაუწიეს ტრანსპორტს, მთელს ჩვენს ქვეყანაში უნდა გავრცელდეს.

ტრანსპორტი შედის მუშაობის ყველაზე მძიმე და პასუხსაგებ პერიოდში. რკინიგზელთა ღირსების, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ღირსების საქმეა — ბოლშევიკურად მოამზადონ ზამთრისათვის რთული, დიდი სატრანსპორტო მეურნეობა.

დაე, ეს ზამთარი იყოს ნამდვილი ბოლშევიკური ზამთარი ტრანსპორტზე.

„პრავდის“ მოწინავე 8 სექტემბ.

ჩაის კრეფის წლიური გეგმა შესრულებულია

ჩხოროწყუ, 7 სექტემბერი. 5 სექტემბრისათვის რაიონმა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შეასრულა 102,7 პროცენტით (მოკრეფილია 145.240 კილოგრამი ფოთოლი). კოლმეურნეობებმა გეგმა შეასრულეს 101 პროცენტით, საბჭოთა მეურნეობებმა — 165 პროც.

ვიძლევით პირობას კრეფის სეზონის დამთავრებამდე სახელმწიფოს დამატებით ჩავაბაროთ 12 ტონა ფოთოლი.

საქ. კ.პ. (ბ) ჩხოროწყუს რაიკომის მდივანი — **მონიავა.**
რაიაღმასკომის თავმჯდომარე — **ჯიქია**

სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმში

მოსკოვი, 7 სექტემბერი. 7 სექტემბერს ამხ. პეტროვსკის თავმჯდომარეობით შესდგა სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის სხდომა. დღის წესრიგის ერთერთი ძირითადი პუნქტია საბჭოების დარგობრივ კონკურს შეჯიბრებათა მსვლელობა 1935 წელს. ამ საკითხის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. უნშლიხტი.

წელს კონკურსისათვის მზადება შესამჩნევად სჯობნის წინანდელს. უკრაინაში შეჯიბრებაში ჩაბმულია დაახლოებით 8500 სასოფლო საბჭო (75 პროც.).

უკეთესი კეთილმოწყობისა და საცხოვრებელი ფართობის შენახვის კონკურსში მონაწილეობს 800 ქალაქი და მუშათა ახალშენი. 1935 წელს პირველად ჩაებნენ ამ კონკურსში უზბეკისტანისა, თურქმენისტანისა და ტაჯიკისტანის ქალაქები.

ფართოდ გავრცელდა კავშირის ქალაქებში ქუჩის კომიტეტები. 1934 წელს 2200 კომიტეტი იყო, ახლა არის 9 ათასამდე და აერთიანებს 50.000 კაცს.

თვალსაჩინო მიღწევებია უკეთესი საგზაო მშენებლობის კონკურსში. მაგალითად, ბელორუსიაში, გზების შეკეთების წლიური გეგმა 1 სექტემბრისათვის შესრულებულია 81 პროცენტით. გზების გასწვრივ დარგულია 18 ათასი ხე.

კონკურსის მსვლელობას ჯერჯერობით მაინც ვერ ჩავთვლით დამაკმაყოფილებლად. უფრო სუსტად მიმდინარეობს რკინიგზის ტრანსპორტისა და მეცხოველეობის განვითარებისათვის დახმარების აღმოჩენის კონკურსი. დაუშვებელი სინელით ავითარებენ საკონკურსო მუშაობას თბილისის, მაგნიტოგორსკის, ჩელიაბინსკის, როსტოვის და სხვ. ქალაქთა საბჭოები. ადგილობრივი და ცენტრალური პრესა ცუდად აშუქებს შეჯიბრების მსვლელობას.

სსრ კავშირის ცაკთან არსებულმა ცენტრალურმა საკონკურსო კომისიამ დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო საკონკურსო კომისიების მუშაობის გასაცხოველებლად. მათ მთავარი ყურადღება კონკურსის მსვლელობასა და ჩამორჩენილი საბჭოებისათვის ოპერატიული დახმარების აღმოჩენას უნდა მიაპყრონ.

სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა თავის დადგენილებაში მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ცაკთა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია რესპუბლიკური და ადგილობრივი საკონკურსო კომისიების მუშაობა. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ცაკებს წინადადება მიეცათ მოახდინონ თავიანთ სხდომებზე [illegible] კომისიების [illegible] (ადს).

თავიდან ავიცილოთ აბისინიაზე თავდასხმა

ჟენევა, 5 სექტემბერი. ანტიფაშისტური სახალხო ფრონტის კომიტეტმა პარიზში მიმართა ერთა ლიგას მოწოდებით ყველაფერი მოიმოქმედოს იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ომი აღმოსავლეთ აფრიკაში. მიმართვაში ნათქვამია:

„1914 წლის შემდეგ მშვიდობიანობას ჯერ ერთხელაც არ დამუქრებია ისეთი საფრთხე, როგორიც მას ამჟამად ემუქრება.

ერთა ლიგის მოვალეობა მდგომარეობს იმაში, რომ გამოიყენოს ყოველგვარი საშუალება, რათა ხელი შეუშალოს იმ დანაშაულს, რომლის ჩადენასაც მზადდება. თუ კი იტალია ამ დანაშაულს ჩაიდენს, ერთა ლიგა ვალდებულია მიმართოს მისი წესდების მე-16 მუხლში გათვალისწინებულ სანქციებს“. (ადს).

ამხ. ლიტვინოვის განცხადება

ჟენევა, 6 სექტემბერი. „ჟურნალ დე ნასიონის“ ცნობით, გუშინდელი მოლაპარაკების დროს ჟენევაში შეეხნენ აგრეთვე იტალია-აბისინიის კონფლიქტის საკითხზე შექმნილი კომიტეტის შედგენილობაში საბჭოთა წარმომადგენლის შეყვანას, როგორც „ჟურნალ დე ნასიონი“ აღნიშნავს, ლიტვინოვმა განაცხადა, რომ მას ურჩევნია არ შევიდეს კომიტეტში, ვინაიდან „მისი ქვეყნის პრინციპული პოზიციები, რომელნიც ყოველგვარი იმპერიალიზმის წინააღმდეგნი არიან, აიძულებდნენ მას გაეკეთებინა შენიშვნა თითქმის ყველა დათმობის შესახებ, რომელსაც კი ეს კომიტეტი შესთავაზებდა აბისინიას“ (ადს).

აბისინიის მთავრობის ახალი მიმართვა ერთა ლიგას

ლონდონი, 6 სექტემბერი. რეიტერის სააგენტო ადის-აბებიდან იუწყება, რომ დღეს აბისინიის მთავრობამ გამოაქვეყნა ცნობა, რომელიც შეიცავს ახალ მიმართვას ერთა ლიგისადმი თხოვნით მოაგვაროს იტალია-აბისინიის კონფლიქტი. ერთა ლიგამ,—ნათქვამია ცნობაში, — უნდა შეასრულოს ის გადაწყვეტილება, რომელსაც შეიცავს მისი 1935 წლის აგვისტოს რეზოლუცია, რომლის თანახმადაც მთელი კონფლიქტი განხილული და გადაჭრილი იქნება ახლანდელ სესიაზე. (ადს).

ახალი გაწვევა იტალიის ჯარში

რომი, 6 სექტემბერი. იტალიაში გამოცხადებულია „მესამე კატეგორიის“ პირთა ჯარში გაწვევა, რომელნიც დაბადებული არიან 1912 წელს. ამ კატეგორიაში შედიან ის პირნი, რომელნიც დღემდე ჯარში გაწვევისაგან თავისუფლდებოდნენ მძიმე ოჯახური პირობის გამო. ახალი გაწვევა არმიას შემატებს კიდევ 50 ათასამდე ჯარისკაცს. (ადს).

საფრანგეთის კომპარტიის მიმართვა

მოქმედების ერთიანობის შესახებ

პარიზი, 6 სექტემბერი. საფრანგეთის კომუნისტური პარტიის სამდივნომ მეორე ინტერნაციონალის და პროფკავშირთა ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასკომების კონფერენციას, რომელიც დღეს ჟენევაში იხსნება, მიმართა წინადადებით აბისინიის ხალხზე იტალიის ფაშიზმის თავდასხმის წინააღმდეგ ერთიანი მოქმედების. შესახებ.

მოავონებს რა, რომ საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას დღემდეც არ მიუღია ლეიბორისტული პარტიისაგან პასუხი თავის 31 აგვისტოს წინადადებაზე მუშათა საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ, მიმართვა მიუთითებს: „ლეიბორისტული პარტიის დელეგატთა მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციაზე მშვიდობიანობისა და აბისინიის ხალხის დასაცავად, აგრეთვე მონაწილეობა 3 სექტემბერს პარიზში გამართულ მიტინგებზე, მოწმობს, რომ ჩვენს პარტიასა და ინგლისის ლეიბორისტულ პარტიას შორის არსებობს საერთო შეხედულებანი მშვიდობიანობის დაცვის პრობლემაზე. ომის წინააღმდეგ ბრძოლა სცილდება სახელმწიფოთა საზღვრებს. თანხმობა სხვადასხვა ქვეყნების მშრომელთა შორის აუცილებელია მძლავრი საერთო მოქმედების ორგანიზაციისათვის, რაც, ჩვენის აზრით, უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ წინააღმდეგობა გავუწიოთ იარაღის ტრანსპორტს იტალიაში, მოვითხოვოთ სუეცის არხის დახურვა, ვიბრძოლოთ ფაშისტური იტალიისათვის ყოველგვარი ფინანსიური დახმარების გაწევის წინააღმდეგ, მოვითხოვოთ ნებადართულ იქნას იარაღის შეტანა აბისინიაში, მოვაწყოთ სახალხო დემონსტრაციები ფაშისტური პროვოკაციების წინააღმდეგ“.

გამოსთქვამს რა იმედს, რომ ეს წინადადებანი არ გამოიწვევენ წინააღმდეგობას საფრანგეთის კომპარტიის სამდივნო აღნიშნავს, რომ „ყოველ შემთხვევაში კომპარტიის დელეგატები — კაშენი და დიუკლო — მზად არიან შეხვდნენ ინგლისის ლეიბორისტული პარტიის დელეგატებს“. (ადს).

„მორნინგ პოსტის“ კორესპონდენტის ცნობა

ლონდონი, 1 სექტემბერი. „მორნინგ პოსტის“ კორესპონდენტი სუეცში იმოწმებს სარწმუნო წყაროებს და იუწყება, რომ 20 ოქტომბერი მიჩნეულია აბისინიაში სამხედრო მოქმედებათა დაწყების თარიღად.

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ რიცხვი აღმოსავლეთ აფრიკაში ავად გამხდარი იტალიელი ჯარისკაცებისა, რომელნიც წამოიყვანეს იტალიის კოლონიებიდან, საიდუმლოდ ინახება. ოფიციალურ წრეებში ფიქრობენ, რომ ეს რიცხვი 12 ათასს აღწევს.

შემდეგ კორესპონდენტი აღნიშნავს: პორტსაიდის ხელისუფალნი მეტად შეშფოთებულნი არიან იმის გამო, რომ ეგვიპტეში 70 ათასი იტალიელი იმყოფება, და რომ ადგილობრივი მოსახლეობა მტრულად არის განწყობილი იტალიის მიმართ. (ადს).

„ხუთის კომიტეტის“ სხდომა

ჟენევა, 7 სექტემბერი. შესდგა ერთა ლიგის საბჭოს მიერ გუშინ დანიშნული „ხუთის კომიტეტის“ პირველი სხდომა. ამ კომიტეტმა უნდა „შეისწავლოს იტალია - აბისინიის ურთიერთობა და გამონახოს კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრის გზა“. თავმჯდომარეობდა ესპანეთის დელეგატი მადარიაგა. გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია: „კომიტეტს შეგნებული აქვს თავისი პასუხისმგებლობა კონფლიქტის მშვიდობიანად დაბოლოების საქმეში და მათ იმედი აქვს დაინტერესებული მთავრობებისა იმ მხრივ, რომ ისინი არ ჩაიდენენ ისეთ აქტებს, რომელნიც ხელს შეუშლიან ან ზიანს მიაყენებენ კომიტეტისათვის დაკისრებული ამოცანის შესრულებას“. (ადს).

აბისინიის იმპერატორის სიტყვა

ლონდონი, 7 სექტემბერი. „დეილი ტელეგრაფის“ კორესპონდენტი ადის-აბებაში იუწყება, რომ აბისინიის საქარავნო ტრანსპორტის მფლობელნი სთავაზობენ აბისინიის მთავრობას აქლემებს და სხვა საპალნე საქონელს, აგრეთვე მომსახურე პერსონალს სამხედრო მასალა-მოწყობილობის გადაზიდვად. კორესპონდენტის სიტყვით, ქარავნების მეპატრონეთა წინადადება მიაჩნიათ იშვიათი პატრიოტიზმის გამომჟღავნებად, ვინაიდან სამხედრო გადაზიდვა აბისინიაში კომერციულ თვალსაზრისით ხელსაყრელი არ არის.

აბისინიის იმპერატორმა ხმოვანი კინოსთვის წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც პასუხი გასცა იტალიის მიერ წამოყენებულ ბრალდებას ბარბაროსობაში. აბისინიის იმპერატორი აცხადებს, რომ აბისინიამ დასავლეთის ცივილიზაციასთან კონტაქტი მხოლოდ 20 წლის წინ დაამყარა და აბისინელები გრძნობენ, რომ მათთვის აუცილებელია სასწრაფოდ მიაღწიონ პროგრესს, რაც სხვა ხალხებისთვის რამდენიმე საუკუნის მანძილზე გახდა შესაძლებელი. იმპერატორი აღნიშნავს აგრეთვე, რომ სახალხო განათლებისა და მიმოსვლის გზების განვითარებას აბისინიაში ხელს უშლის ომის საფრთხე და თავისუფლებისა და ეროვნულ დამოუკიდებლობის დაცვის აუცილებლობა (ადს).

* * *

მეორე და ამსტერდამის ინტერნაციონალების კონფერენცია

პარიზი, 7 სექტემბერი. გუშინ პარიზში შესდგა მეორე ინტერნაციონალის და პროფკავშირთა ამსტერდამის ინტერნაციონალის საერთო კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო 52 დელეგატი. ერთხმად იქნა მიღებული რეზოლუცია, რომელიც შემდეგ პუნქტებს შეიცავს: კონფერენცია ჰგმობს ფაშისტური იტალიის აგრესიულ პოზიციას აბისინიის მიმართ. კონფერენცია მოუწოდებს ერთა ლიგას სავსებით გამოიყენოს თავისი პაქტი და სანქციები (დამსჯელი ღონისძიებანი) იტალიის წინააღმდეგ. კონფერენცია არწმუნებს ერთა ლიგას, რომ ორივე ინტერნაციონალი მხარს დაუჭერს სანქციების გამოყენებას აგრესორის წინააღმდეგ.

არჩეულია დელეგაცია, რომელმაც უნდა გადასცეს რეზოლუცია ერთა ლიგას. ამავე დროს ორივე ინტერნაციონალის წარმომადგენლებისაგან შეიქმნა შერეული კომისია, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს ამბების განვითარებას აღმოსავლეთ აფრიკაში და საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს ახალი კონფერენცია.

„უფრო მაღლა ავსწიოთ ერთიანობის დროშა, რომლისთვისაც იბრძოდა ბარბიუსი“

ანრი ბარბიუსის დაკრძალვა

პარიზი, 7 სექტემბერი. სამ საათს გრძელდება სამგლოვიარო პროცესიის გავლა. პერ-ლაშეზის სასაფლაოს შეუძლია პროცესიის მხოლოდ მცირე ნაწილი დაიტიოს. ამ სასაფლაოს ახსოვს 1871 წლის კომუნარები მისი ძველი მაღალი კედლებიდან მოსჩანს მოზღვავებული ხალხი.

კუბო გადმოიღეს კატაფალკიდან და დასდგეს ამაღლებულ ადგილზე. პირველად ლაპარაკობს ფრანგ ლიტერატორთა საზოგადოების წარმომადგენელი ბრიუმატი. მის შემდეგ—რევოლუციონერ კომბატანტთა წარმომადგენელი დიუკლო: მას სახე დასახიჩრებული აქვს ომში, ამოთხრილი თვალის ნაცვლად ჩასმული აქვს შუშა. დიუკლო ლაპარაკობს იმათი სახელით, ვინც გამოვიდა ბარბიუსის მიერ აღწერილი ჯოჯოხეთიდან, გამოვიდა ომის სისხლიანი ბარბაროსების წინააღმდეგ პროტესტით აღსავსე სულით, მისი წარმომშობი სისტემის წინააღმდეგ ამბოხების სულით—ბარბიუსმა — ამბობს ორატორი — დაგვიმტკიცა სამხედრო კატასტროფის სოციალურ მიზეზთა მთელი სიღრმე. მან გვასწავლა ვიბრძოლოთ, რათა ვიხსნათ კაცობრიობა ახალი ომის კოშმარისაგან.

ამსტერდამის მსოფლიო კომიტეტის სახელით გამოვიდა პროფესორი ფრანსის ჟურდენი. მან ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ გადაუშალა ომმა ბარბიუსს დიდი რეალობა. სანგრებიდან ბარბიუსმა მოიტანა არა მარტო ბრწყინვალე წიგნი, არა მარტო სიძულვილი ომისადმი, არამედ რევოლუციური მგზნებარებაც ძველის ნანგრევებზე ახალი მსოფლიოს შექმნისათვის.

იგი ლაპარაკობს, რომ უკანასკნელ დღეებში ბარბიუსს ესმოდა არა მარტო მოახლოებული სიკვდილის ნაბიჯები, მას ესმოდა სხვა საბედისწერო ნაბიჯებიც — მოახლოებული ომის ნაბიჯები. ამჟამად მსოფლიო განიცდის ყველაზე უფრო სერიოზულ მომენტს 1914 წლიდან, აფრიკაში იტალიის აგრესიას შეუძლია ევროპის ომი გამოიწვიოს.

— ჩვენი გამოსათხოვარი მისალმება ამსტერდამის კომიტეტის შემქმნელისა და ხელმძღვანელისადმი უნდა იყოს ფიცი: განვახორციელოთ მისი ანდერძი — მივაღწიოთ მუშათა კლასის გამარჯვებას ფაშიზმსა, ომსა და კაპიტალიზმზე.

შემდეგ კომინტერნის აღმასკომის სახელით გამოვიდა აღმასკომის წევრი — ამერიკის კომპარტიის მდივანი ამხ. ბრაუდერი, რომელმაც სიტყვა ინგლისურ ენაზე წარმოსთქვა.

უკანასკნელი დიდი სიტყვით გამოვიდა საფრანგეთის კომპარტიის სახელით ამხ. კაშენი.

ძვირფასო მეგობარო ანრი ბარბიუს, — ამბობს იგი, — რა ძნელია დღეს ჩემთვის, რომელიც წლოვანობით შენზე უხნესი ვარ, მოგმართო შენ გამოსათხოვარი სიტყვით! აღარა გვყავს ბარბიუსი: დადუმდა მისი ამაღელვებელი ხმა, ჩაქრა მისი ოდნავ სევდიანი ღიმილი, დაიხუჭა მისი მშვენიერი თვალები.

— ბარბიუსის სიკვდილი უდიდესი დანაკლისია კომუნისტური პარტიისა, მუშათა კლასისა და ომის ყოფილ მონაწილეთა ლეგიონებისათვის. ბარბიუსმა შეიგნო, რომ მწერლის ადგილი ესთეტიკურ თავშესაფარში კი არ არის, არამედ ბრძოლის ცეცხლში.

მთელი თავისი ნიჭი, მთელი თავისი ძალღონე მან გაჩაღებულ კლასობრივ ბრძოლას მოანდომა. იგი დადგა ექსპლოატირებულთა და ჩაგრულთა მხარეზე, იგი იცავდა მათ, ვისაც აწამებენ ბალკანეთის საპატიმროთა საკნებში, იმათ, ვინც ჩინეთის ჯალათების ხელით იღუპება. ბარბიუსი შემოვიდა კომუნისტური პარტიის რიგებში. ეს ჩვენთვის დიდი სიამაყე იყო. თავისი გონებისა მთელი პირდაპირობით, თავისი გულის მთელი კეთილგონიერებით იგი გადავიდა ლენინ-სტალინის დიდი საქმის მხარეზე, იგი უკანასკნელ წუთებამდე იყო ერთგული საბჭოთა კავშირისა, რომელიც მას სულით და გულით უყვარდა. და მოსკოვმაც და პარიზმაც, რევოლუციების ისტორიაში ამ ყველაზე მშვენიერმა საუცხოვო ქალაქებმა ტყვილად კი არ მოუწყეს ბარბიუსს ასეთი დიადი დაკრძალვა.

— მოქმედების ერთიანობის და ერთიანი სახალხო ფრონტის დიადი იდეა მთლიანად დაეუფლა ბარბიუსს. ბარბიუსი სამართლიანად ხედავდა ამ იდეაში იმის საშუალებას, რომ გამოეგლიჯა კაცობრიობა ფაშიზმის სისხლიან თათებიდან, ეხსნა იგი ომის საფრთხისაგან.

უფრო მაღლა ავსწიოთ ერთიანობის დროშა, რომლისთვისაც იბრძოდა ბარბიუსი, პროლეტარული რევოლუციის დროშა, რომელიც იხსნის კულტურას და კაცობრიობას!

სამგლოვიარო მიტინგი დამთავრდა საღამოს დაახლოებით 7 საათზე. ბარბიუსის დამკრძალავი კომიტეტის სახელით რაბატემ მოუწოდა ყველა დამსწრეებს დაიშალონ იმავე წესრიგით, როგორითაც აღნიშნული იყო ეს დაკრძალვა.

რომენ როლანის უკანასკნელი მიმართვა ბარბიუსისადმი

მოსკოვი, 8 სექტემბერი. 7 სექტემბერს, ანრი ბარბიუსის დაკრძალვაზე, მალრომ მწერალთა საერთაშორისო ასოციაციის სახელით წაიკითხა რომენ როლანის უკანასკნელი მიმართვა ბარბიუსისადმი, რომელიც გაგზავნილია შვეიცარიიდან.

აი ამ მისალმების სრული ტექსტი:

„გამოსათხოვარი სალამით მივმართავ მეგობარს, ამხანაგს, ბელადს, მას, ვინც მწერლებიდან ყველაზე მეტად პროლეტარულ ინტერნაციონალს ემსახურებოდა, მას, ვინც 1914 წლის სისხლისმღვრელი ომიგან თვალახელის შემდეგ მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა კომუნიზმის საქმის, კაცობრიობის საქმის თავდადებულ სამსახურს.

ომის შემდეგ ბარბიუსის ჯანმრთელობა გაღრღნილი იყო ავადმყოფობით. მერე რით არ იქანცავდა იგი თავს! დედამიწის რა კუთხეში არ ყოფილა ეს მაღალი და გამხდარი მოგზაური რაინდი, თავისი საშურველის სიმძიმით მოხრილი. მთელ ქვეყნიერებაზე აწარმოებდა იგი დაუღალავ ჯვაროსნულ ლაშქრობას სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ, იმპერიალიზმისა, ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ.

დედამიწის ყველაზე მივარდნილ კუნჭულებშიაც კი, თვით შორეულ აღმოსავლეთამდე, ჩნდებოდა მაღალი, გამხდარი ფიგურა ამ მშვიდობიანობისათვის მებრძოლისა. კაცს ეგონებოდა, ეს არის წაიქცევაო. მაგრამ მას ყოველთვის ძალას ჰმატებდა უშრეტი ალი. წამიერ დასვენების უმალვე ის კვლავ ბრძოლაში მიდიოდა. ამსტერდამის კონგრესზე ვინც მას ვერ იცნობდა, დაინახავდა თუ არა ტრიბუნაზე, შიშით ამბობდა: „ეს კაცი ხომ ახლავე მოკვდებაო“. მაგრამ დაიწყებდა თუ არა იგი ლაპარაკს, მისი სული ცეცხლის ალივით ედებოდა კრებას.

ბარბიუსი მთელი ხნის განმავლობაში ჰფლობდა დისკუსიას. მას ჰქონდა უნარი შეენარჩუნებინა, ის ობიექტური უპირატესობა, რომელმაც ხელი შეუწყო ესოდენ სხვადასხვაგვარი ელემენტის ჰარმონიულად შეკავშირებას, ყველა ქვეყნის ხალხთა მასების მძლავრი ხმის ერთ მძლავრ აკორდად შედუღებას ყველა ქვეყნის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

მას შემდეგ, რაც 1916 წლის სანგრების სისხლსა და ტალახში დაიბადა უკვდავი წიგნი „ცეცხლში“, ბარბიუსი 20 წლის განმავლობაში დაუღალავად ჰქადაგებდა იმას, რასაც იგი უწოდებდა „დიდი რეალობის გამოცხადებას“, პიკარდიელი ჯარისკაცის მიერ ფრონტზე მიგნებულ აღმოჩენას, რომ ადამიანებს სთიშავს, ერთმანეთის მტრად ჰხდის არა რასობრივი, არამედ კლასობრივი განსხვავება, განსხვავება, რომელიც არსებობს ექსპლოატატორთა და ექსპლოატირებულთა შორის.

თავისი თავგანწირული მისწრაფებით ყველა ქვეყნის პროლეტარიატის ერთიანობისაკენ ბარბიუსი 20 წლის განმავლობაში რაზმავდა ყველა ქვეყნის ადამიანებს ყველა ქვეყნის ექსპლოატატორთა და მჩაგვრელთა წინააღმდეგ. არასოდეს არ გადაუხვევია ბარბიუსს ამ ძირითადი ხაზიდან და მას ხვდა ბედნიერება ეხილა თუ როგორ იზრდებოდა მისი შექმნილი ძლიერი მოძრაობა იმ მდინარის მსგავსად, რომელსაც მთელ დედამიწიდან ერთვიან შენაკადები. მას წილად ხვდა მეორე ბედნიერებაც — სიკვდილის წინ იგი დაესწრო კომუნისტური ინტერნაციონალის VII კონგრესის პირველ სხდომებს; ეს კონგრესი იყო ძლევამოსილი ჰიმნი იმ ინტერნაციონალისა, რომლის ჯარისკაციც იყო ბარბიუსი.

მე მეგონა, მისი ცხედარი დარჩებოდა მოსკოვში მარადიულ სადარაჯოზე კრემლის კედლებთან, მასწავლებელ — ლენინის მახლობლად, მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის სახელოვან მებრძოლთა საფლავებს შორის. მაგრამ ბარბიუსმა არჩია მკვდარი ჩვენთან დაბრუნებულიყო, რათა მომავალ ბრძოლებში თავისი ადგილი დაეჭირა თავისი პარიზელი ხალხის რიგებში. იგი ჩვენ შორისაა და მარად ჩვენთან დარჩება, როგორც მომქმედი ძალა...

მაგრამ ვინ ასწევს დროშას, მას რომ ვაჟკაცურ ხელიდან გაუვარდა? საქმე თქვენზეა, ბარბიუსის თანამებრძოლნო, ერთგულად რომ ეხმარებოდით მას. საქმე თქვენზეა, ამხანაგო სოციალისტებო და კომუნისტებო, შენზეა, სიცოცხლით აღსავსე ახალგაზრდობავ! შევამჭიდროოთ რიგები! ჩვენი ხელმძღვანელი ბარბიუსი დაეცა ბრძოლაში, მაგრამ არმია, მისი მოწოდებით მსოფლიო ფრონტად შემჭიდროებული, განაგრძობს ბრძოლას. იგი მომავალშიაც განაგრძობს ამ ბრძოლას საბოლოო გამარჯვებამდე. ამ არმიამ უნდა გაიმარჯვოს და იგი დაამარცხებს იმპერიალიზმსა და ომს. სიცოცხლე სძლევს სიკვდილს.

რომენ როლანი“.

საბჭოთა კავშირში

მზადება საბჭოთა კავშირსა და რუმინეთს შორის ფოსტის პირდაპირი გაცვლის დასაწესებლად

მოსკოვი, 7 სექტემბერი. საბჭოთა კავშირსა და რუმინეთს შორის მომავალი პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლის გახსნასთან დაკავშირებით სსრ კავშირისა და რუმინეთის კავშირგაბმულობის უწყებები აწარმოებენ მოსამზადებელ მუშაობას ორივე ქვეყანას შორის უშუალოდ საფოსტო გაცვლა-გამოცვლის დასაწესებლად.

დღემდე საფოსტო კორესპონდენცია საბჭოთა კავშირიდან რუმინეთში და აგრეთვე რუმინეთიდან საბჭოთა კავშირში იგზავნება მოვლით — სხვა ქვეყნებზე. პირდაპირი საფოსტო გაცვლა-გამოცვლის დაწესება თვალსაჩინოდ დააჩქარებს კორესპონდენციის მიღებას.

საფოსტო კორესპონდენციის უშუალოდ გაცვლა სსრ კავშირსა და რუმინეთს შორის უნდა დაიწყოს მაშინვე, როგორც კი გაიხსნება საბჭოთა კავშირსა და რუმინეთს შორის პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლა მდ. დნესტრზე გავლით, ტირასპოლთან. (ადს).

მსუბუქმოტორიან თვითმფრინავთა საკავშირო გადაფრენა

ორენბურგი, 6 სექტემბერი. დღეს, დილის 5 საათზე მოსკოვის დროით ორენბურგიდან გაფრინდა მსუბუქმოტორიან თვითმფრინავთა ესკადრილია.

სარატოვი, 6 სექტემბერი. 20 ათასზე მეტი მშრომელი მოვიდა აეროდრომზე სასპორტო-სასწავლო გადაფრენის მონაწილეთა შესახვედრად. 11 საათზე და 35 წუთზე ადგილობრივი დროით გამოჩნდა თვითმფრინავი „[illegible]—1“. მანძილი კუიბიშევსა და სარატოვს შუა დაფარულია 2 საათსა და 40 წუთში. კუიბიშევიდან სარატოვში გადაფრენისას მაქსიმალური სისწრაფე განავითარა ყაზანის ავიაინსტიტუტის მანქანამ „კაი—8“, რომელსაც მართავდა მფრინავი მინდირი. ამ მანქანამ, რომელიც საათში 200 კილომეტრის სისწრაფით მფრინავდა, მთელი მანძილი 1 საათსა და 58 წუთში დაფარა. მშრომელნი აღფრთოვანებით შეხვდნენ გადაფრენის მონაწილეებს.

სარატოვი, 7 სექტემბერი. გუშინ საღამოს გაიმართა სასპორტო გადაფრენის მონაწილეთა ამხანაგური შეხვედრა სამხარეო და საქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. დღეს თვითმფრინავები სტალინგრადს გაფრინდნენ.

სტალინგრადი, 7 სექტემბერი. დღეს სტალინგრადის აეროდრომზე დაეშვნენ მსუბუქმოტორიანი თვითმფრინავები.

სარატოვიდან გზის პირველი ნახევარი გადაფრენის მონაწილეებმა ქარსა და ღრუბლებში გაიარეს.

საწვავი მასალის მიღების შემდეგ თვითმფრინავები ლუგანსკს გაფრინდნენ.

ლუგანსკი, 7 სექტემბერი. მოფრინდა მსუბუქმოტორიან თვითმფრინავთა ესკადრილია. თვითმფრინავებს შეხვდნენ საქალაქო ორგანიზაციების ხელმძღვანელნი და ათასობით მშრომელნი. გადაფრენის მონაწილენი მხნედ გამოიყურებიან. მანქანები წესრიგშია.

სტალინო, 7 სექტემბერი. დღეს სტალინოს მშრომელნი ზეიმით შეხვდნენ მსუბუქმოტორიან თვითმფრინავთა საკავშირო გადაფრენის მონაწილეთ. საღამოს 6 საათისათვის კიდევ დაეშვა 16 თვითმფრინავი. დანარჩენები ღამის გასათევად ლუგანსკში დარჩნენ (ადს).

ფარკხარის და ბილერის გაფრენა

უელენი, 5 სექტემბერი. 4 სექტემბერს ნომიდან უელენში ჩამოფრინდნენ მდივანი ბრიტანეთის მისიისა მექსიკაში ფარკხარი და მფრინავი ბილერი. ისინი მოფრინავენ შემდეგი მარშრუტით: მექსიკა-ნიუ-იორკი-ნომი-უელენი-ანადირი - ო[illegible]-ნოგაევო-[illegible] -ხარბინი-შანხაი-ჰონკონგი - ინდოეთი-ირანი-აფრიკა - სარდინია-კორსიკა-პარიზი-ლონდონი.

თვითმფრინავზე არის რადიო-კომპასი ნოტების გადამცემის მისაღებად. უელენში ჩამოსულებს შეხვდნენ ჩუკოტკის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. აპალონუკი, პოლარული სადგურის უფროსი ამხ. პოლიკაშინი და სხვ. მოსულთა პატივსაცემად გაიმართა საუზმე, რომლის დროსაც ერთმანეთს მიესალმნენ სტუმრები და ადგილობრივი მუშაკები (ადს).

ველოგადარბენის მონაწილენი ამხ. კაგანოვიჩთან

მოსკოვი, 7 სექტემბერი. 7 სექტემბერს სვერდლოვსკის სამთო ინსტიტუტის ფრიადოსანი სტუდენტები, რომელნიც მონაწილეობდნენ დიდ ველოგადარბენაში (მარშრუტი სვერდლოვსკი - ყარა-ყუმი— მოსკოვი-სვერდლოვსკი) მიიღო მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. მ. მ. კაგანოვიჩმა.

მაღალი შეფასება მისცეს მათ მოსკოვის ველოქარხნის მანქანებს, რომლითაც მოეწყო ეს, საგზაო პირობების მიხედვით უძნელესი გადასვლა.

ამხ. კაგანოვიჩმა მიულოცა სტუდენტებს გადარბენის მთავარი ეტაპის წარმატებით დამთავრება. ველოგადარბენის მონაწილენი მხურვალე ტაშით შეხვდნენ ამხ. კაგანოვიჩის განცხადებას, რომ ამხ. მოლოტოვმა მას მიანდო მათი მისალმება.

ამხ. კაგანოვიჩის განკარგულებით გადარბენის ყველა მონაწილეს მიეცა საჩუქარი—ველოსიპედი და კოსტუმი (ადს).

იაპონელი მსუბუქი მძლეოსნები მოსკოვში

მოსკოვი, 7 სექტემბერი. 6 სექტემბერს მოსკოვში ჩამოვიდა 18 იაპონელი მსუბუქი მძლეოსანი. ისინი მონაწილეობდნენ შეჯიბრებაში დასავლეთ-ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში. გუნდი ძირითადად სტუდენტებისაგან შესდგება (ადს).

ოქროს მოპოვების წლიური გეგმა შესრულებულია

ალმა-ატა, 7 სექტემბერი. „ალტაიზოლოტოს“ ყაზან-ჩუნკურის მადნის სამმართველომ 1 სექტემბრისათვის ოქროს მოპოვების წლიური გეგმა 102,8 პროცენტით შეასრულა. (ადს).

ნავთობის მძლავრი შადრევანი

უფა, 7 სექტემბერი. ჭაბურღილ № 728-იდან, როცა შადრევნის მილები უნდა ჩაეშვათ, ამოხეთქა ნავთობის მძლავრმა შადრევანმა, რაც ნახევარ საათზე მეტს გაგრძელდა. შადრევანი ამტკიცებს, რომ იშიმბაევის რაიონში ნავთობის კოლოსალური მარაგი მოიპოვება (ადს).

საქართველოს

ინგლისის პროფკავშირთა ყრილობა

დღის წესრიგში დასმულია ომის საფრთხე

მარგეიტი, 5 სექტემბერი. (საკ. დეპეშათა სააგენტოს სპეც. კორესპონდენტისაგან) პროფკავშირთა ყრილობაზე გენერალურ საბჭოს მიერ ომის საფრთხის შესახებ მიღებული რეზოლუციის გამო მოხსენებით გამოვიდა სიტრინი. სიტრინმა თავის სიტყვის დიდი ნაწილი მოანდომა იტალიის აგრესიული გეგმების გამომჟღავნებას და გამოიყვანა დასკვნა, რომ ამ აგრესიის შეჩერება მხოლოდ ძალას შეუძლია. ამასთან სიტრინმა დასვა კითხვა: თუ მუსოლინი ერთა ლიგაში თავისას გაიტანს, „შესძლებთ თუ არა თქვენ შეაჩეროთ ჰიტლერის გერმანია, რომ მან არ შეასრულოს მის მიერ აშკარად აღიარებული მიზანი—სამხედრო თავდასხმა საბჭოთა კავშირზე“?

სიტრინმა განაცხადა, რომ იმათთვის, ვინც საბჭოთა კავშირის დაცვაზე ლაპარაკობს, „ახლა დადგა მომენტი დაიცვან საბჭოთა კავშირი აბისინიის დაცვით“.

ბევრმა დელეგატმა გააკრიტიკა გენერალურ საბჭოს რეზოლუცია. შოტლანდიის კოოპერატიულ მოსამსახურეთა დელეგატმა განაცხადა:

„რაც საჭიროა თვალთმაქცობა წინანდელ ომშიაც ჩვენ აგრეთვე ვიბრძოდით პატარა საწყალი ბელგიისათვის, მაგრამ საქმე რითი დამთავრდა? ჩვენ დავიტაცეთ ყველაფერი, რაც კი შევძელით. თუ ჩემმა შვილმა უნდა იომოს, დაე იომოს პროლეტარიატისათვის. წარსულ ომში ერთადერთი კარგი საქმე ის იყო, რომ რუსეთის ხალხი გახდა რუსეთის ბატონ-პატრონი“ (ტაში).

არტურმა (მაღაროელთა დელეგატი) განაცხადა:

„1914 წელს მე ერთი ხულიგანთაგანი ვიყავი; მაგრამ რასაც ჩვენ ახლა გვთავაზობენ, პირწავარდნით მგავს იმ ზანგს, რომელსაც ჩვენ მაშინ გვაყლაპებდნენ“.

მაღაროელთა მეორე დელეგატმა ევანსმა მოითხოვა ენდონ მხოლოდ თვით მუშათა კლასის მოქმედებას ომის თავიდან აცილების საქმეში. კერძოდ, ევანსმა მოითხოვა მიმბაძონ კეპტაუნის გემთმშენებელი მუშების და საბერძნეთის მეზღვაურების მაგალითს და უარი სთქვან იმ მასალების დატვირთვაზე, რომლებიც დანიშნულია იტალიის არმიის შესაიარაღებლად.

თავმჯდომარე რამდენჯერმე შეეცადა ამაზე შეეწყვიტა კამათი, მაგრამ უშედეგოდ და ხანგრძლივად დახვეწების შემდეგ იძულებული გახდა განეგრძო კამათი.

გენერალურმა საბჭომ,—განაცხადა როულანდსმა (მღებავთა პროფკავშირი)—ჩინებულად იცის, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა მძარცველურ გარიგებას ამზადებდა იტალიასთან აბისინიის ხარჯზე. გენერალური საბჭო სწორად იქცევა, როცა მოითხოვს ზომების მიღებას ფაშისტური აგრესიის წინააღმდეგ, მაგრამ იგი არ იქცევა სწორად, როცა არ ამჟღავნებს ჩვენი საკუთარი მთავრობის მიზნებს აბისინიაში. „ჩვენ უნდა დავიცვათ აბისინია, მიუხედავად იმისა, მხარს დაუჭერს მას ერთა ლიგა თუ არა, ვინაიდან საუკეთესო თავდაცვა—ეს არის მუშათა კლასის დამოუკიდებელი პოლიტიკა, — სთქვა როულანდსმა და კონკრეტულად მოითხოვა: გავაჩაღოთ მასობრივი კამპანია ინგლისის მთავრობის ნამდვილი მიზნების გამომჟღავნებისათვის, ვაიძულოთ იგი შესწყვიტოს დახმარების გაწევა გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მთავრობისათვის და ხელი მოაწეროს პაქტს საბჭოთა კავშირთან, ხოლო მუშების მოქმედებით შევწყვიტოთ იარაღის მიწოდება გერმანიისა და იტალიისათვის.

ზაკმა (მევაჭრეთა პროფკავშირი) წამოაყენა ასეთივე წინადადებანი, ამასთან დასძინა ისეთი მოთხოვნები, როგორიცაა: სუეცის არხის დახურვა, აბისინიაში იარაღის შეტანის ნების დართვა და თანხების შეგროვება იტალიის ანტიფაშისტთა სასარგებლოდ.

„შეუძლებელია აბისინიის დაცვა და საბჭოთა კავშირზე თავდასხმის წინააღმდეგ ბრძოლა,—განაგრძობს ზაკი—თუ არ ვამხელთ ნაციონალური მთავრობის პოლიტიკას და არ ვაწარმოებთ მის წინააღმდეგ ბრძოლას. ჩვენ მხარს ვუჭერთ სანქციებს ფაშისტური აგრესიის წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენს მოქმედებას საფუძვლად უნდა ედოს დაუღალავი ბრძოლა საკუთარი მთავრობის იმპერიალისტური მადის წინააღმდეგ“. როულანდსი და ზაკი გენერალურ საბჭოს წინადადებას აძლევენ უკან წაიღოს თავისი რეზოლუცია და რადიკალურად გადაამუშაოს იგი.

კენჭის ყრის დროს გენერალური საბჭოს რეზოლუცია მიღებულია 2.962.000 ხმით 177.000 ხმის წინააღმდეგ (ადს).

ყრილობის საბოლოო სხდომა

მარგეიტი, 6 სექტემბერი. პროფკავშირთა ყრილობის საბოლოო სხდომაზე კანტორების თანამშრომელ ქალთა კავშირმა შეიტანა რეზოლუცია, რომელიც გამოხატავს მუშათა და მოსამსახურეთა აღშფოთებას იმის გამო, რომ სიტრინმა, პიუმ და პროფკავშირთა სხვა ხელმძღვანელებმა, მეფის იუბილესთან დაკავშირებით მიიღეს რაინდების, ბარონეტების და სხვ. წოდება. რეზოლუცია გამოსთქვამს მწუხარებას, რომ პროფმოძრაობის აქტიურმა მოღვაწეებმა „მიიღეს ჯილდო იმ მთავრობისაგან, რომელიც არ არის დაყენებული მუშათა ინტერესების დასაცავად“.

საპასუხო სიტყვაში სიტრინმა მიუთითა, რომ ინგლისში მრავალი წლის მანძილზე ურიგებდნენ ასეთ „ჯილდოებს“ ლიბორისტული პარტიის და პროფკავშირების ბელადებს, მაგრამ წინააღმდეგ არავინ ილაშქრებდა. ამ საბაბით სიტრინმა მოითხოვა, რომ ეს საკითხი არ განეხილათ.

237 ხმის უმრავლესობით 125-ის წინააღმდეგ საკითხი მოიხსნა დღის წესრიგიდან (ადს).

ყრილობის რეზოლუცია

მარგეიტი, 6 სექტემბერი. დღევანდელ დილის სხდომაზე ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც წინადადებას აძლევს გენერალურ საბჭოს განაგრძოს ბრძოლა იმისათვის, რათა გაუქმებულ იქნას 1927 წლის კანონი, რომელიც ზღუდავს პროფკავშირთა უფლებებს, და 1934 წლის კანონი „ჯანყისაკენ წაქეზების შესახებ“.

გენერალურ საბჭოს ანგარიშის დარჩენილი ნაწილების სასწრაფო წესით განხილვის პროცესში ფეიქარმა ქალმა ისტვუდმა ენერგიული პროტესტი განაცხადა, იმ საშესაკრებო ფურცლების ხასიათის წინააღმდეგ, რომლებსაც გენერალური საბჭოს პროფკავშირული პროპაგანდის განყოფილება უშვებს. ისტვუდმა წაიკითხა ორიოდე ასეთი ფურცელი, რომლებშიაც პირველ გვერდზე დაბეჭდილია: „რჩევა სილამაზის შესახებ“. „ყველა ქალიშვილს როდი ხვდება ხოლმე ბედნიერება“. ამან დარბაზში გომერიული ხარხარი გამოიწვია. როგორც ჩანს,—განაცხადა ისტვუდმა,—გენერალური საბჭო ფიქრობს, რომ ახალგაზრდა მუშა-ქალები სულელი ბავშვები არიან, რომლებსაც ვერ მიიზიდავ პროფკავშირში კლასობრივი ბრძოლის პროპაგანდით. ეს არის მუშა-ქალის შეურაცყოფა. ეს პროტესტი გენერალურმა საბჭომ უყურადღებოდ დასტოვა (ადს).

ინგლისის ტრედ-უნიონების კონგრესის პასუხი

საკავშირო პროფსაბჭოს მისალმებაზე

საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს მდივნის ამხ. შვერნიკის სახელზე მარგეიტიდან მიღებულია შემდეგი საპასუხო დეპეშა:

„ინგლისის ტრედ-უნიონების კონგრესმა რომელიც შეკრებილია მარგეიტში, პატივისცემით მიიღო თქვენი ძმური მისალმება. იგი განაგრძობს მუშაობას მშვიდობიანობის შენარჩუნებლად და ფაშიზმისთვის გადამწყვეტი წინააღმდეგობის გასაწევად.

კინი—თავმჯდომარე.
სიტრინი—მდივანი.

პარტიული მშენებლობა

დიდი პარტიის წევრობის ღირსეული კანდიდატი

(ცაგერი, „კომუნისტის“ საკ. კორ.)

როცა რაიკომის მდივანმა პარტდოკუმენტების შემოწმებაზე გამოიძახა, იგი რაიკომის შენობის დერეფანში ამხანაგებთან საუბარში იყო გართული. როგორც კი გაისმა ხმა: ვლადიმერ ყურაშვილი, იგი მაშინვე რაიკომის მდივანთან გამოცხადდა.

— დაჯექით, ამხ. ვლადიმერ. სად არის თქვენი დოკუმენტები?

— აქა მაქვს, — ამაყად სთქვა ვლადიმერმა და უბის ჯიბიდან ამოიღო პარტიის წევრობის საკანდიდატო ბარათი.

ვლადიმერ ყურაშვილს, პარტკანდიდატს 1931 წლიდან, 1921 წლიდან კომკავშირელს ყველაფერი რიგზე აღმოაჩნდა. მაგრამ ყოველივე ეს ხომ არ კმარა იმისათვის, რომ ლენინ-სტალინის პარტიის ღირსეული წევრი იყო?

და, აი, რაიკომის მდივანი ახლა იმის გამორკვევაზე გადადის, თუ რა ძალას წარმოადგენს ამხ. ვლადიმერი კოლმეურნეობაში.

— ეს ბარათი შენ გეკუთვნის,— ამბობს ამხ. ჭელიძე და ხელში იღებს ვ. ყურაშვილის საკანდიდატო ბარათს, — შენ კი კომუნისტური პარტიის რიგებს ეკუთვნი. როგორ ამართლებ პარტიის წევრობის კანდიდატის სახელწოდებას. როგორ მუშაობ კოლმეურნეობაში?

— რა გითხრათ, სხვებს არასოდეს ჩამოვრჩენილვარ, — აღარ გააგრძელა სიტყვა და თავისი პარტორგანიზაციის მდივანს და რაიკომის ინსტრუქტორს გადახედა.

— ნაკურალეშის კოლმეურნეობაში 132 კომლია, კოლმეურნეთაგან მაგას ყველაზე მეტი, 250-მდე შრომა-დღე აქვს გამომუშავებული, ორი კაცის ოდენას მუშაობსო, — დაუდასტურეს პირველადი პარტორგანიზაციის კომიტეტის მდივანმა ამხ. დ. ყანთელაძემ და რაიკომის ინსტრუქტორმა ამხ. ბ. გუგავამ.

— გაზეთს კითხულობ?

— გამოწერილი მაქვს და ვკითხულობ „კომუნისტს“, აგრეთვე რაიონულ გაზეთს.

— უკანასკნელად ყველაზე საინტერესო რა წაიკითხე გაზეთ „კომუნისტში“?

— ამხ. ლ. ბერიას მოხსენება ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების ისტორიის შესახებ.

— ეს ძალიან კარგი! — მოუწონა მდივანმა.

პარტიის კანდიდატი ამხ. ვ. ყურაშვილი, როგორც მოწინავე დამკვრელი კოლმეურნე, პარტდოკუმენტების შემოწმების მიმდინარეობასთან დაკავშირებით პირველადმა პარტორგანიზაციამ და კოლმეურნეობამ სულ ახლახან დააწინაურა საკოლმეურნეო ფერმის გამგედ და როცა, სოფელ ნაკურალეშის საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაციის წევრთა პარტდოკუმენტების შემოწმების დამთავრების შემდეგ, რაიკომის მდივნის კაბინეტში გამართულ ამ პარტორგანიზაციის კრებაზე რაიკომის მდივანმა ამხ. ს. ჭელიძემ უთხრა: — ლადო! შენ ახლა დიდი საქმე — ფერმის გამგეობა ჩაგაბარეთ და ვნახოთ. როგორ კარგად დააყენებ ფერმის მუშაობას,—პარტკანდიდატმა ამხ. ვ. ყურაშვილმა აიღო სიტყვა და მთელ პარტორგანიზაციას განუცხადა:

— მაშ ფერმის ყოფილ გამგესავით, ყოფილ დიაკვან რაჟდენ გოლეთიანივით ხომ არ ვიმუშავებ? პარტია არც დღემდე შემირცხვენია და მას არც მომავალში შევარცხვენო.

რაიკომის მდივანმა უკანვე დაუბრუნა მას ბილეთი.

პარტია ასეთ ღირსეულ წევრებს და კანდიდატებს როდი ართმევს ბილეთებს, როდი აძევებს მათ თავისი რიგებიდან. ასეთებს ზრდის და აწინაურებს სოცმშენებლობის სხვადასხვა ფრონტზე.

რა მოგვცა პარტდოკუმენტების შემოწმებამ

(სამხრეთ - ოსეთი)

სამხრეთ-ოსეთის პარტორგანიზაციაში ა.-წ. 30 აგვისტომდე შემოწმება გაიარა პარტიის წევრთა და კანდიდატთა 62 პროცენტმა. ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, კომუნისტები ორგანიზებულად ცხადდებიან შემოწმებაზე. შემოწმებაზე არ გამოცხადდა ჯავის რაიონიდან 10 წევრი და 8 კანდიდატი, სტალინის რაიონიდან — 27 წევრი და 13 კანდიდატი. ამაში ბრალი მიუძღვით პარტორგებს, რომლებმაც შემოწმების დაწყება დროულად არ აცნობეს კომუნისტებს.

კომუნისტი ზაქარია ბიბილოვი (სტალინირის რაიონი) არ გამოცხადდა შემოწმებაზე, ხოლო როცა აიძულეს, მაშინაც უბილეთოდ მოვიდა. მან კვლავ მოიმიზეზა შინ წასვლა, ვითომდა პარტბილეთის მოსატანად, მაგრამ აღარ დაბრუნებულა რაიკომში. რაიკომის წარმომადგენელს, რომელიც მივიდა ბიბილოვთან, გამოუცხადებლობის მიზეზის გამოსარკვევად, მან განუცხადა: „პარტბილეთი პარტორგს მივეცი საწევრო შენატანის აღსანიშნავად და აღარ დამიბრუნა“.

შემოწმების დროს პარტბილეთები ჩამოერთვათ და გაირიცხენ პარტიიდან: ალექსანდრე ფუხაევი, რომელმაც თავის ბიძაშვილს დიმიტრი ფუხაევს სხვა საბუთებთან ერთად მოჰპარა პარტბილეთი № 2746002. ა. ფუხაევი გადავიდა ხაშურის რაიონში და 2 წელი თავს ასაღებდა როგორც კომუნისტი, პარტორგანიზაციას ატყუებდა მოპარული პარტბილეთით; ანტონ ტიდევი, პარტბილეთი № 2125618, რომელსაც გადაისწორებინა პარტბილეთში სტაჟი; პარმენ ხუბულოვი, ყოფილ „გარადავოის“ შვილი, ხუბულოვი პარტიიდან გარიცხული ყოფილა 1929 წელს, მაგრამ ვილაცეების დახმარებით მას კვლავ აღუდგენია თავი; გიორგი ცხოვრებოვი, რომელიც უმალავდა პარტიას თავის წარსულს, რომ იგი 1929 წელს გარიცხული იყო პარტიიდან როგორც ტროცკისტი. იგი ახლაც შეეცადა დაემალა თავისი წარსული, მაგრამ ამაოდ, პარტორგანიზაციამ ნიღაბი ახადა მის წარსულს და განდევნა იგი თავის რიგებიდან.

პარტბილეთები ჩამოერთვათ აგრეთვე პარტკანდიდატებს: გიორგი შაქროს-ძე ბედოევს, კულაკის შვილს, რომელიც შეპარული იყო პარტიაში მოტყუებით, როგორც კოლმეურნის შვილი და თვითონაც კოლმეურნე; პეტრე ტოროსის-ძე ოსტაევს, რომელიც გარიცხული იყო პარტიიდან 1922 წელს ჯარიდან დეზერტირობის გამო და ხელმეორედ შეპარულა პარტიაში, დაუმალავს რა თავისი წარსული.

ამათ გარდა პარტბილეთები ჩამოერთვათ 3 წევრს და 2 კანდიდატს, რომლებიც დიდი ხანია გარიცხული იყვნენ პარტიიდან. მაგრამ პარტბილეთები მაინც ხელთ ჰქონდათ და აღრიცხვაზეც იმყოფებოდნენ.

ლენინგორის პარტრაიკომის აპარატში მუშაობდა ტროცკისტი ჭერგო ხინჩაგაშვილი. მის გამოსამჟღავნებლად არავითარი ზომები არ მიუღიათ, სანამ არ გაიპარა სხვაგან. ახლა კი გაირიცხა პარტიიდან.

პარტიიდან გაირიცხა აგრეთვე: ალექსანდრე კოჩიევი, როგორც საკოლმეურნეო ქონების გამნიავებელი; პავლე ტასოევი — საკოლმეურნეო ქონების გაფლანგვისათვის: მათე ჯიოევი — როგორც უდისციპლინო და ბალასტი, იგი არ ესწრებოდა კრებებს და პოლიტმეცადინეობას, არ იხდიდა საწევრო გადასახადს; ბაბო ალბორავა, ტატე ვანეევი, ვასილ ჭუმარიტოვი და სხვ.

ეს მაგალითები გვიჩვენებს, რომ საჭიროა დიდი სიფრთხილე, თვითეული კომუნისტისა და მათი პარტდოკუმენტების გულმოდგინედ შემოწმება.

რამდენიმე სიტყვა „პარტიული მეურნეობის“ საკითხებზე. სამხრეთ ოსეთის საოლქო შემნახველ სალაროსთან არსებულ პირველადი პარტორგანიზაციის (პარტორგი ტრეტიაკოვი) ყველა პარტიული საბუთები შემნახველ სალაროს სხვა საქმეებთან ერთად ღია შკაფში ინახება. სამომხმარებლო კოოპერატივის საოლქო კავშირთან და საქალაქო კოოპერაციასთან არსებულ პირველად პარტორგანიზაციებში (პარტორგები ეფ. გაზაევი, არსენ ჯიოევი) ყველა პარტდოკუმენტები ინახება კოოპერატივის სხვა საქონელთან ერთად. თავდაცვაავიაქიმის საბჭოსთან არსებული პ-პარტორგანიზაციის ოქმები ინახება ზაქარია ჯიოევთან მაგიდის ღია ყუთში (პარტორგი ზურაბ მარგიევი) და სხვ.

ყველა ეს ფაქტი მოწმობს, რომ ამ პარტორგანიზაციების ხელმძღვანელებმა ვერ გაიგეს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დირექტივა და უგულგულოდ ეკიდებიან მას. საოლქო კომიტეტმა უნდა გამოასწოროს ეს მდგომარეობა.

შ. ძიგოევი.

მოსკოვის კვანძის რკინიგზელთა კრება

მოსკოვი, 7 სექტემბერი. 6 სექტემბერს გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში თავი მოიყარეს მოსკოვის კვანძის მეორთქლმავლეებმა, მევაგონეებმა, მელიანდაგეებმა, ექსპლოატაციის დარგის, კავშირგაბმულობის მუშაკებმა, მშენებლებმა, ათიათასობით რკინისგზელებმა, რათა აღენიშნათ პირველი წარმატებანი, რათა ტრანსპორტისათვის უაღრესად პასუხსაგებ საზამთრო პერიოდის მიჯნაზე შემჭიდროებულიყვნენ დატვირთვის სტალინური გეგმისათვის. პარკის მთავარი ხეივანი გადაქცეულია რკინისგზების საუკეთესო ადამიანთა, ლენინის, წითელი ვარსკვლავის, შრომის წითელი დროშის ორდენებით დაჯილდოებულთა საპორტრეტო გალერეად. ხეივანის შესასვლელთან გამოკიდულია გზათა სახალხო კომისარიატის სამეცნიერო-საგამომკვლევო ინსტიტუტის უფროსის პროფესორ ობრაზცოვის და უძველესი რკინისგზელის — სამხრეთ დასავლეთის გზის საორთქლმავლო დარგის უფროსის სვირიკოვის პორტრეტები. ასობით რკინისგზელებს მოუყრიათ თავი ტექნიკურ კონსულტაციებთან.

საღამოს 5 საათისათვის მწვანე თეატრში მიტინგზე შეიკრიბა მოსკოვის კვანძის 35 ათასი საუკეთესო დამკვრელი. მქუხარე ტაშით ესალმებიან კრების მონაწილენი თავის რკინის სახკომს ამხ. კაგანოვიჩს. მის შემდეგ პრეზიდიუმში ადგილს იკავებენ ამხ. ხრუშჩევი, ზიმინი, პოსტნიკოვი, ლიფშიცი, ცენტრის რკინისგზელთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ვორობაევი, ტრანსპორტის ორდენოსნები პროფესორი ობრაზცოვი, ამხ. სტრელკოვი, ტომკი და სხვ.

მიტინგს ხსნის გზათა სახალხო კომისარიატის პოლიტსამმართველოს უფროსი ამხ. ნ. ნ. ზიმინი.

— ამაყნი ჩვენი პირველი წარმატებებით, — სთქვა მან, — ამაყნი იმით, რომ ჩვენ შეგვაქო დიდმა სტალინმა, რომელმაც აღნიშნა ჩვენი წარმატებანი, ჩვენ შევიკრიბეთ აქ, რათა განვაცხადოთ ურყევი გადაწყვეტილება რათაც უნდა დაგვიჯდეს უმოკლეს ვადაში შევასრულოთ სტალინის განაწესი — დავტვირთოთ 80 ათასი ვაგონი დღეღამეში.

რკინისგზელები დღეს მთელ ჩვენს ქვეყანაში შეიკრიბნენ, რათა დაარწმუნონ ბელადი იმაში, რომ ისინი გადაჭარბებით არ აფასებენ პირველ წარმატებებს. ყველა ჩვენგანი ერთგულ თავის პოსტზე დაჟინებით და შეუპოვრად უნდა ვიბრძოდეთ და ვიბრძოლებთ კიდეც დატვირთვის სტალინური გეგმის შესრულებისათვის.

პირველი სიტყვა ეძლევა გზათა სახალხო კომისარს — ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩს.

ამხ. კაგანოვიჩი თავის სიტყვას, რომელსაც ხშირად აწყვეტინებენ მქუხარე ტაშით, მიუძღვნის იმ მდგომარეობის ანალიზს, რომელშიაც ამჟამად იმყოფება რკინისგზის ტრანსპორტი, მის პირველ წარმატებათა და მის წინაშე დასახულ ამოცანათა ანალიზს.

— ტრანსპორტის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, — სთქვა ამხ. კაგანოვიჩმა, — დაამტკიცებენ, რომ ვერავითარი ყინვები ვერ შეზღუდავენ მათ ურყევ ნებისყოფას გამარჯვებისაკენ და თვით ზამთარს გადააქცევენ ბოლშევიკურ ზამთრად. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა კავშირის საუკეთესო მემანქანის — დიდი სტალინის ხელმძღვანელობით, რომელსაც რევოლუციის ლოკომოტივი მტკიცედ მიჰყავს ერთი გამარჯვებიდან მეორე გამარჯვებისაკენ, მხნედ იარეთ წინ, ამხანაგო რკინისგზელებო!

სახალხო კომისრის უკანასკნელ სიტყვებს ჰფარავს დამსწრეთა მქუხარე ტაში. გაისმის შეძახილები.

— გაუმარჯოს დიდ სტალინს!

— გაუმარჯოს ჩვენს სახკომს — ამხ. კაგანოვიჩს!

კურსკის გზის ორდენოსანი მემანქანის ამხ. სტრელკოვის წინადადებით კრებამ მქუხარე ტაშით მიიღო მისალმება ამხ. სტალინის სახელზე.

პროლეტარული დედაქალაქის ქარხნებისა და ფაბრიკების საუკეთესო დამკვრელთა სახელით რკინისგზელებს ესალმება ამხ. შაშკოვი.

— მუშები, — ამბობს იგი, — უაღრესად დაძაბული ყურადღებით ადევნებენ თვალს თქვენს ბრძოლას, თქვენთან ერთად ამაყობენ ისინი ტრანსპორტის პირველი წარმატებებით. ვკისრულობთ გადავაქციოთ მოსკოვის ქარხნები ტრანსპორტის შეკვეთების უაღრესად წესიერ შემსრულებლებად.

მოსკოვის გარნიზონის ჯარების სახელით რკინისგზელებს მხურვალე წითელარმიული სალამი გადასცა ამხ. სერგეევმა.

⁂

რკინისგზელთა ასეთივე კრებები ტარდებოდა გუშინ მოსკოვის კულტურისა და დასვენების სხვა პარკებშიაც, აგრეთვე საბჭოთა კავშირის მთელ რიგ დიდ ქალაქებში. (ადს).

საკავშირო მსუბუქი მრეწველობა 8 თვის განმავლობაში

მოსკოვი, 7 სექტემბერი. საკავშირო მსუბუქი მრეწველობის უმთავრესმა დარგებმა, გარდა სელისა, 8 თვის პროგრამა წარმატებით შეასრულეს.

ბამბეულის ფაბრიკებმა რვა თვეში გამოიმუშავეს 1 მილიარდი 284,8 მილიონი მეტრი მზა ქსოვილი—პროგრამის 101,9 პროც.

მატყლის მრეწველობამაც გადაჭარბებით შეასრულა 8 თვის გეგმა. გამოშვებულია 86 მილიონი 450 ათასი მეტრი მზა ქსოვილი. მეტადრე კარგად მუშაობდნენ საფეიქრო სამქროები. მათ 40 მილიონი 877 ათასი მეტრი ხამი გამოუშვეს და ამგვარად დავალება 19,6 გადაჭარბებით შეასრულეს.

აბრეშუმის ფაბრიკებმა გამოიმუშავეს 19 მილიონი 49 ათასი მეტრი ქსოვილი, თითქმის 3 მილიონი მეტრით მეტი, ვიდრე შარშან 8 თვის განმავლობაში. გეგმა შესრულებულია 101,2 პროცენტით.

საკავშირო სატრიკოტაჟო მრეწველობამ დაამზადა 67 მილიონი 850 ათასი წყვილი ჩულქი და წინდა, 12 მილიონ 614 ათასი ცალი თეთრეული. ჩულქისა და წინდის გამომუშავებამ 1934 წლის იმავე პერიოდთან შედარებით იმატა 15 მილიონი წყვილით, თეთრეულის გამომუშავებამ კი ორჯერ.

ფეხსაცმელის ფაბრიკებმა 8 თვის პროგრამა 100,7 პროცენტით შეასრულეს: გამოშვებულია 24 მილიონი 182 ათასი წყვილი ფეხსაცმელი—3 მილიონი წყვილით მეტი, ვიდრე ამავე ხანში შარშან.

ა. მგელაძე □ □ □ □ □ □ □

საქ. ალკკ ც. კ-ის მდივანი

ბოლშევიკურად შევასრულოთ საკ. ა. ლ. კ. კ. ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმის დირექტივები*)

ბოლშევიკური თვითკრიტიკა, საკუთარი დეფექტებისადმი შეურიგებლობა — კომკავშირის მუშაობის უპირველესი პირობაა. თუ არ გავშლით დეფექტების გაბედული, უშიშარი კრიტიკა, ისე ახალგაზრდობის ლენინურ-სტალინური აღზრდის ამოცანის გადაჭრას ვერ მოვახერხებთ. „ბოლშევიზმის ძალა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მას კრიტიკისა არ ეშინია და თავისი დეფექტების კრიტიკაში ენერგიას ჰპოულობს შემდგომი წინსვლისათვის“ (სტალინი).

კომკავშირის ყოველ ხელმძღვანელს უნდა ახსოვდეს, რომ იგი პასუხისმგებელია მთელი აქტივის აღზრდისათვის ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის საფუძველზე. მაგრამ ზოგიერთი ხელმძღვანელი ამ პასუხისმგებლობას არ გრძნობს. მათ კრიტიკისა ეშინიათ და ამიტომ ცდილობენ შეავიწროონ მისი ჩარჩოები, ადგებიან ბოლშევიზმისათვის უცხო გზას — თვითკრიტიკის ჩახშობისა და თავიანთ ნაკლოვანებათა მიჩქმალვის გზას. ასე იყო, მაგალითად კომკავშირის საგარეჯოს რაიკომში, როცა იქ მდივნად იყო ამხ. ნაცვლიშვილი, რომელმაც დევნა დაუწყო კომკავშირელ ქალს იმისათვის, რომ იგი გაბედულად აკრიტიკებდა რაიკომის დეფექტებს.

კომკავშირის ხელმძღვანელი აქტივი, ორგანიზაციის ყველა რგოლში კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლისათვის ყოველდღიურ ბრძოლასთან ერთად, განსაკუთრებული გულისხმიერებით და ყურადღებით უნდა ეხმაურებოდეს დეფექტების კრიტიკას, რომელიც დაბლიდან — კომკავშირლებიდან და კავშირსგარეშე მდგომი ახალგაზრდობიდან გამომდინარეობს.

ყოველი კომკავშირელი, როცა იგი კომკავშირის კომიტეტში მოდის, უნდა ხედავდეს, რომ იქ ანგარიშს უწევენ მის კრიტიკას, რომ იქ მისი აზრი და სწორი წინადადებანი ცხოველ გამოხმაურებას ჰპოულობენ. კომიტეტში მას უნდა აძლევდნენ პასუხს იმ კითხვებზე. რომლებიც მას აინტერესებს და აღელვებს. საჭიროა, ყოველი კომკავშირელი, როცა იგი კომიტეტში მოდის, ფიქრობდეს — აი ეს ჩემი ღვიძლი კომიტეტი, აი სად მივიღებ სწორ პასუხს, დახმარებას და ხელშეწყობას, აი სად შემიძლია მოვიდე მე ჩემი აზრით და დეფექტების გაბედული კრიტიკით.

სულ ცოტა ხნის წინათ საკ. ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განსაკუთრებული დადგენილებით მოიწონა დასავლეთ ციმბირის მხარის სტალინსკის ორგანიზაციის კომკავშირული აქტივის საერთო-საქალაქო კრების წინადადება, საქალაქო კომიტეტის ბიუროს დაშლისა და საქალაქო კომიტეტის მდივნის და სხვა ხელმძღვანელ მუშაკთა სამუშაოდან მოხსნის შესახებ. სტალინსკის ორგანიზაციის კომკავშირელებმა სასტიკად გააკრიტიკეს თავისი საქალაქო კომიტეტის მუშაობა. რომელიც მათ სრულიად არადამაკმაყოფილებლად ჩასთვალეს. თავგასული ვაი-ხელმძღვანელები, რომელნიც უმსგავსოებას სჩადიოდნენ, იძულებული გახდნენ პასუხი ეგოთ კომკავშირელთა —სტალინსკის ორგანიზაციის ნამდვილ პატრონთა წინაშე.

ეს სერიოზული გაკვეთილი და გაფრთხილება უნდა იყოს კომკავშირის ყველა ხელმძღვანელი მუშაკისათვის. თუ არ არის ბოლშევიკური თვითკრიტიკა, შეუძლებელია ახალგაზრდობის და მის ხელმძღვანელთა სწორად აღზრდა.

კომკავშირის ყოველი მუშაკი უნდა იყოს იდეური, პრინციპული, პარტიის საქმის უსაზღვროდ ერთგული მებრძოლი, კულტურული და მოწინავე ადამიანი. იგი უნდა იყოს კომუნისტური ზნეობისა და პროლეტარული მორალის გამტარებელი როგორც პირად ცხოვრებაში, ისე ადამიანებთან ურთიერთობაშიც. მას უნდა მოეპოებოდეს ბოლშევიკის დამამშვენებელი თავდაბლობა. მხოლოდ მაშინ იქნება იგი ახალგაზრდობის ნამდვილი აღმზრდელი და ორგანიზატორი.

პირადი მაგალითის ძალა—დიდი ძალაა. და კომკავშირის ყოველი მუშაკი მოწოდებულია პირად მაგალითზე აღზარდოს კომკავშირელებში მებრძოლი ბოლშევიკის თვისებანი.

ახალგაზრდობის აღზრდის ამოცანებისაკენ შემობრუნებას ზოგიერთი მუშაკი სცვლის შიშველი მოკულტურონობით, გატაცებულია საქმის გარეგნული, საპარადო მხარით და ღრმა შინაარსს უკარგავს კომკავშირის ბრძოლას ნამდვილი კულტურის დაუფლებისათვის. ლენინური კომკავშირი მუდამ დაუნდობლად იბრძოდა უიდეო მოკულტურონობის წინააღმდეგ. და როცა კულტურაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ფართო მრავალმხრივი კულტურა. ბოლშევიკური იდეურობითა და რევოლუციური პერსპექტივით გამსჭვალული. ჩვენში კი ზოგიერთსა ჰგონია, რომ საკმარისია მოაწყონ საცეკვაო ადგილები, შეიძინონ გარეგნული ბრწყინვალე ელფერი და ამით ყველაფერი ამოიწურება. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჩვენს საწარმოებში ცოტა როდია საცეკვაო წრეები, რაც თავისთავად ცუდი არ არის. მაგრამ კომკავშირის კომიტეტებს რატომღაც არ აღმოაჩნდათ დრო და სურვილი ამასთან ერთად მოეწყოთ უცხო ენების მასობრივი შესწავლა, შეექმნათ საერთო-საგანმანათლებლო წრეები, შესდგომოდნენ კლასიკური ლიტერატურის, მუსიკის, მხატვრობის, და სხვა მრავალის შესწავლას, რაც კულტურის დიად არსენალში შედის.

არავითარი ფასი არა აქვს ლაყბობას აღზრდასა და კულტურაზე, თუ უშუალოდ არ ჩავუნერგავთ ყოველ კომკავშირელს წიგნის ღრმა სიყვარული, თუ არ მივაჩვევთ იგი ხანგრძლივ მუშაობას თავის თავზე, თუ არ აღვზრდით მასში თავაზიანობა, მეგობრობა და გულისხმიერი დამოკიდებულება ამხანაგებისადმი, ქალიშვილებისადმი, მშობლებისადმი, თუ არ შევქმნით ხულიგნებისადმი, უტიფარი, უვიცი და მორალურად ბინძური ადამიანებისადმი შეურიგებლობის ატმოსფერო. ხოლო კომკავშირული ორგანიზაციები ჯერ კიდევ სუსტად ეხმაურებიან ახალგაზრდობის ცხოვრებისა და ყოფის მახინჯ მოვლენებს, რომლებიც მემკვიდრეობად გვხვდა წყეული წარსულისაგან.

ცუდად და არასაკმაოდ მუშაობენ კომკავშირული ორგანიზაციები ახალგაზრდა ქალთა შორის. მათ ვერ მოახერხეს სავსებით გამოეყენებინათ ქალიშვილთა უზარდი აქტივობა და ის განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები, რომლებიც პროლეტარულმა სახელმწიფომ შეჰქმნა ქალთა ახალგაზრდობის პოლიტიკური და კულტურული აღზრდისათვის.

საქართველოს პირობებში ქალიშვილთა შორის მუშაობა კომკავშირის რთულ და უაღრესად მნიშვნელოვან უბანს წარმოადგენს. ქალთა ახალგაზრდობის მრავალეროვნობისა და ნაციონალური სიჭრელის გამო, მისი ზოგიერთი ფენის კულტურული და პოლიტიკური ჩამორჩენილობის მიზეზით, და, ბოლოს, მავნე რელიგიურ-საყოფაცხოვრებო ნაშთების არსებობის შედეგად, ქალიშვილთა შორის მუშაობა მოითხოვს დიდ მოქნილობას და ფორმათა მრავალფეროვნებას.

მაგრამ ბევრ ჩვენს ორგანიზაციაში ეს მუშაობა სავსებით მივიწყებულია. უპარტიო ქალიშვილებზეც რომ არაფერი ვთქვათ, კომკავშირულ ქალებს ივიწყებენ და უგულებელჰყოფენ. ქალიშვილს დღევანდლამდე არ დაუკავებია თავისი შესაფერი ადგილი ჩვენი ორგანიზაციების მუშაობასა და ხელმძღვანელობაში. ჩვენში იშვიათი არ არის ისეთი შემთხვევები, როცა „პროცენტული წარმომადგენლობისათვის“ კომიტეტში შეჰყავთ ერთი ქალიშვილი, მაგრამ კომკავშირის კომიტეტები და აქტივი ჯერ კიდევ არ იჩენენ საკმაო ნამდვილ-ბოლშევიკურ ზრუნვას ქალთა ახალგაზრდობის საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე, იმაზე, რომ გამოზარდონ და დააწინაურონ ხელმძღვანელობაში ასობით ნიჭიერი და მებრძოლი ქალიშვილები.

ახალგაზრდობის ქალთა ნაწილის როლისა და შემოქმედებითი ძალის შეუფასებლობის ისეთ ფაქტებს, მათ საჭიროებათა და სპეციფიკურ მოთხოვნილებათა უგულებელყოფას ისეთ მდგომარეობამდე მივყავართ, რომ მთელ რიგ საწარმოებსა და კოლმეურნეობებში იგი რჩება კომკავშირის გავლენის გარეთ. ასეთი ფაქტები კი ჩვენში, სამწუხაროდ, ცოტა არ არის.

კომკავშირის ორგანიზაციებმა უნდა აღზარდონ და დანერგონ გულისხმიერი, ამხანაგური მოპყრობა ქალიშვილისადმი. უნდა შეიქმნას საზოგადოებრივი გაკიცხვისა და ზიზღის ატმოსფერო ქალიშვილის მიმართ ყოველგვარი თავაშვებულობისა და ცინიზმის წინააღმდეგ, დაუღალავი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ კომკავშირელ — დიდასთან, ქალთა ახალგაზრდობის გათხოვილ ნაწილთან უდიერი, ბურჟუაზიული მოპყრობის წინააღმდეგ.

საკ. ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან მოწვეული ქალთა თათბირის შემდეგ და ცენტრალურ კომიტეტის მიერ „ქალთა ახალგაზრდობაში მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ მიღებული დადგენილების შემდეგ კომკავშირის ორგანიზაციები ცოტა ამოძრავდნენ ამ უბანზე. წინ წაიწია კომკავშირის ხელმძღვანელ სამუშაოზე ქალიშვილთა დაწინაურების საქმემაც. ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმამდე ჩვენში ხელმძღვანელ სამუშაოზე არცერთი ქალიშვილი არ ყოფილა. ახლა ჩვენში ორი ქალიშვილი მუშაობს რაიკომების მდივნებად, სამი — პოლიტსწავლების განყოფილებათა გამგეებად. 22 — რაიკომების პიონერგანყოფილებათა გამგეებად. ქალიშვილები გვყავნან აგრეთვე ცენტრალური კომიტეტის აპარატშიაც. მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ დასაწყისია.

ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით იმ მცირეოდენით, რაც უკვე გაკეთებულია, ამიტომ თვით ქალიშვილთა აქტიური მონაწილეობით უნდა განვახორციელოთ მთელი ორგანიზაციის ნამდვილი შემობრუნება ქალთა ახალგაზრდობისაკენ ისე, რომ არ დავუშვათ კამპანიურობა და თვითდამშვიდება.

საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ჩვენ დაგვეკისრა ამოცანა — მოვამზადოთ და ჩავატაროთ. აჭარელ ქალთა ახალგაზრდობის ყრილობა. ეს ყრილობა, რომლის მოწვევა მიმდინარე წლის ოქტომბრისათვის არის განზრახული, დიდი მოვლენა იქნება საქართველოს კომკავშირის ცხოვრებაში. ამავე დროს იგი იქნება იმის სერიოზული შემოწმება, თუ როგორ შეითვისა კომკავშირის აჭარისტანის ორგანიზაციამ ქალთა ახალგაზრდობაში მუშაობის ამოცანები და როგორ ახორციელებს ამ ამოცანებს.

ამ უკანასკნელ დროს კომკავშირის ორგანიზაციებმა მტკიცედ მოჰკიდეს ხელი საავიაციო და საპარაშუტო სპორტის განვითარებას საქართველოში. კომკავშირის მასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობის ეს უმნიშვნელოვანესი უბანი სულ უფრო და უფრო მეტად იპყრობს ჩვენი აქტივის ყურადღებას, იწვევს მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდობის ინტერესს. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ ჩვენ თითქმის არ ვეწეოდით საავიაციო სწავლებას, ხოლო ახლა ჩვენ მთელი რიგი არცთუ ცუდი მაჩვენებლები გვაქვს. განსაკუთრებით გაიზარდა ახალგაზრდობის მისწრაფება საფრენოსნო-საპარაშუტო საქმის ათვისებისაკენ.

თვითმფრინავს, პლანერს, პარაშუტს წარმოებას მოუწყვეტლივ ეუფლებიან ასობით და ათასობით ახალგაზრდა მუშები და კოლმეურნენი. აშენდა და შენდება საპარაშუტო კოშკები ტფილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათომში, ფოთში, ლიუქსემბურგსა და სხვა რაიონებში. მომზადებულია პარაშუტისტთა პირველი კადრები ტფილისსა და სოხუმში. მათ შორის ჩვენ ვხვდავთ მუშა-კომკავშირელებს: ვლადიმერ ბადაშვილს, ალექსი გოლაშვილს, ნინა პუშკინას და მთელ რიგ სხვა პირებს, რომელნიც სერიოზულად დაეუფლნენ პარაშუტიზმის ტექნიკას.

ახალგაზრდობის ბოლშევიკურად აღზრდა — ეს არის ლენინ-სტალინის პარტიის უსაზღვროდ ერთგული, იდეურად გამობრძმედილი, ყოველმხრივ განვითარებული, კულტურული, გაბედული და სოციალიზმის მამაცი ახალგაზრდა მშენებლების აღზრდა.

საავიაციო სპორტი და პარაშუტიზმი წარმოადგენენ მამაცობის, გულადობისა და გმირობის საუცხოო სკოლას. ეს სკოლა ჩვენს ახალგაზრდობაში ზრდის გაბედულებას, თავდაჭერილობას, ნებისყოფას, თავის თავისადმი რწმენას, საბრძოლო მზადყოფნას, რომ პარტიისა და მთავრობის პირველი მოწოდებისთანავე დადგეს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საზღვრების დასაცავად.

სწორედ აქედან უნდა გამოვდიოდეთ ჩვენს მუშაობაში. პირველ წარმატებათა განმტკიცების შემდეგ. მომავალშიაც უფრო სწრაფად და ორგანიზებულად უნდა წავწიოთ წინ საფრენოსნო-საპარაშუტო სპორტის განვითარება და უზრუნველვყოთ ამ მოძრაობის ნამდვილი მასობრიობა.

კომკავშირის ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ საავიაციო სპორტის განვითარებას ახალგაზრდობაში, ისინი უნდა ჩასწვდნენ ჩვენი აეროკლუბებისა და საპარაშუტო სკოლების კონკრეტულ საჭიროებებს და მოაწყონ მათთვის ეფექტური დახმარების გაწევა. ამ მხრივ ჩვენ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ პროლეტარული დედაქალაქისა და ჩვენი ქვეყნის უდიდესი ცენტრების კომკავშირისაგან.

ჩვენ ყველა პირობა მოგვეპოება, რომ მაქსიმალურად განვავითაროთ საფრენოსნო საქმე და პარაშუტიზმი. საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და ახალგაზრდობის საუკეთესო მეგობარი და ხელმძღვანელი ამხ. ბერია ყოველდღიურ ყურადღებას და მზრუნველობას იჩენენ კომკავშირისადმი, დიდ დახმარებას უწევენ კომკავშირს ამ საქმეში. ჩვენ კონკრეტული და შეუპოვარი მუშაობით უნდა გავამართლოთ ეს ყურადღება და უზრუნველვყოთ საფრენოსნო-საპარაშუტო სპორტის განვითარების მაღალი ხარისხობრივი დონე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფიზკულტურულ მუშაობას. მუშაობის ამ უბანს მაგრად უნდა ჩავჭიდოთ ჩვენი კომკავშირული ხელი.

ფიზკულტურული მუშაობა უნდა მოვაქციოთ კომკავშირის ყურადღების ცენტრში.

სტადიონებზე, კულტურისა და დასვენების პარკებში, მოედნებზე სასპორტო დარბაზებში, კლუბებში და სხვაგან კომკავშირელები სტუმრები კი არ უნდა იყვნენ, არამედ პატრონნი, ვინაიდან ფიზკულტურული მუშაობა კომკავშირის მუშაობის გარდაქმნის უმნიშვნელოვანესი უბანს წარმოადგენს.

ლენინური კომკავშირის მუშაობის გარდაქმნის ინიციატივა დიდ სტალინს ეკუთვნის. სწორედ ამაშია ამ გარდაქმნის განსაკუთრებული მნიშვნელობა. ამხ. სტალინის სახელი რევოლუციური გაბედულების ჩვენი პარტიისადმი უდიდესი სიყვარულისა და ერთგულების ცეცხლით ანთებს ჩვენს ახალგაზრდობას.

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, პირადად ჩვენი ლ. ბერია უდიდეს ყურადღებას, მზრუნველობასა და გულისხმიერებას იჩენენ საქართველოს კომკავშირისა და მისი ხელმძღვანელი აქტივისადმი, ისინი სწვდებიან კომკავშირის მუშაობის ყველა წვრილმანს და დეტალს, ყოველდღიურ დახმარებას უწევენ მას პარტიის ბელადის ამხ. სტალინის მიერ დასახული ისეთი უდიდესი სახელმწიფო მნიშვნელობის ამოცანის გადაჭრაში როგორიცაა ახალგაზრდობის აღზრდა.

კომკავშირის მუშაობის გარდაქმნა პარტიის ბელადის ამხ. სტალინის მითითებათა და საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებათა საფუძველზე—ეს არის პარტორგანიზაციის ყოველი რგოლის ღვიძლი საქმე. მარტო კომკავშირის ორგანიზაციები ვერ გაართმევენ თავს ამ საქმეს, ამის ფიქრი და იმედი გულუბრყვილობა იქნებოდა.

კომკავშირელს მტკიცედ უნდა ახსოვდეს, რომ „პარტიის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა — არის ყველაზე მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი კომკავშირის მთელს მუშაობაში. კომკავშირელმა უნდა შეიგნოს, რომ თუ არ არის ასეთი ხელმძღვანელობა, ისე კომკავშირს არ შეუძლია შეასრულოს თავისი ძირითადი ამოცანა“ (სტალინი) — ლენინიზმის საფუძველზე, მუშათა კლასის მტრებთან შეურიგებელი ბრძოლის საფუძველზე ახალგაზრდობის აღზრდის ამოცანა. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გარდავქმნათ და კონკრეტული გავხადოთ პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირზე, უფრო ოპერატიული გავხადოთ იგი ნამდვილად ავიყვანოთ იმ ამოცანების დონეზე, რომლებიც დიდმა სტალინმა ლენინურ კომკავშირს დაუსახა.

ამხ. ლ. ბერია არაერთხელ ამახვილებდა ყურადღებას იმაზე, რომ პარტიული ორგანიზაციები „ყოველდღიურად, ორგანულად იყვნენ დაკავშირებული კომკავშირთან, კარგად იცნობდნენ მის კადრებს, მის საჭიროებებს, მოთხოვნილებებს, მისი ორგანიზაციის მდგომარეობას და არსებითად დახმარებას უწევდნენ გულისხმიერი, ყურადღებითი პარტხელმძღვანელობით, ადამიანებით სახსრებით და არა რეზოლუციებით, არა ქაღალდით, არა სიტყვებით. უნდა გაძლიერდეს პარტორგანიზაციების პასუხისმგებლობა კომკავშირის ორგანიზაციების ხელმძღვანელობისა და მათთვის დახმარების გაწევისათვის“.

საქართველოს კომკავშირი სასახელოდ შეასრულებს ლენინიზმის საფუძველზე ახალგაზრდობის აღზრდის ამოცანას, იგი მომავალშიაც ყოველდღიურად ისწავლის დიდი სტალინის ერთგული მოწაფის — ამხ. ლ. ბერიასაგან, თუ როგორ უნდა სტალინურად მუშაობა.

---

*) დასასრული. იხ. „კომუნისტი“ № 209.

გამოიცვლის თუ არა პოზას ძებისაშვილი?

ადამიანის ცხოვრებაში არის ბევრი განსაკუთრებით ტკბილად მოსაგონარი მომენტი. ასეთი სასიხარულო მომენტი არის მაგალითად როდესაც კაცს აჯილდოებენ დამკვრელური მუშაობისათვის. ეს გარემოება სწორედ დუშელ მწყემსებს **მათე და ისაკა ჩოხელს, მარო ქავთარაძეს, სიდო მკერვალიძეს, გიგა და შიო ჭიკაიძეს** შეეხებათ. მიმდინარე წლის 30 იანვრის „კომუნისტში“ ზემოხსენებულ მწყემსებმა წაიკითხეს, რომ რესპუბლიკურმა ჟიურიმ ისინი დააჯილდოვა საქ. მიწსახკომის და გაზ. „კომუნისტის“ მიერ საუკეთესო მწყემსისათვის გამოცხადებულ კონკურსის ყველა პირობათა შესრულებისათვის.

დუშელ მწყემსებს უხაროდათ, რომ ქვეყანამ გაიგო მათი წარმატებული მუშაობა:

— როცა გაზეთში წავიკითხე ცნობა დაჯილდოების შესახებ ისე გამიხარდა, რომ მგონი სიმაღლეში მოვიმატე, — განაცხადა ისაკა ჩოხელმა. —

მწყემსები მოელოდნენ ფულად ჯილდოს. სიდო მკერვალიძე და მარო ქავთარაძე დაჯილდოებულია 320 მანეთით თითოეული, დანარჩენი კი 200-200 მანეთით.

გავიდა ხანი, ჯილდო არ ჩანდა.

— გიგა ბიჭო, შენ ხომ არ მიგიღია რამე საჩუქარი ცენტრიდან? შეეკითხა ერთხელ მათე ჩოხელი გიგა ჭიკაიძეს.

— გაზეთში კი წავიკითხე ჩვენი დაჯილდოების ამბავი, მაგრამ ფული არ მიმიღია,— უპასუხა გიგამ.

როცა მწყემსები დუშეთში ჩამოვიდოდნენ, შეივლიდნენ ხოლმე რაიმიწგანში და მოკრძალებით კითხულობდნენ:

— ჩვენი ჯილდო ხომ არ არის მიღებული.

რაიმიწგანში მათ ყოველთვის უარით ისტუმრებდნენ.

რამდენიმე თვე გავიდა. მწყემსებს ეჭვი შეეპარათ, და ამ დღეებში ამის შესახებ „კომუნისტის“ კორესპონდენტს შესჩივლეს.

გამოირკვა, რომ საქ. სახ. სამეურნეო ბანკმა მწყემსების დასაჯილდოებელი თანხა 1440 მანეთის რაოდენობით 14 მაისს გადაურიცხა სახ. ბანკის დუშეთის განყოფილებას.

ადგილობრივმა ბანკმა 16 მაისს ეს თანხა გადარიცხა მიწგანის ანგარიშზე № 156/6. ასე, რომ **რაიმიწგანს თავისუფლად შეეძლო 17 მაისს ფული დაერიგებინა მწყემსებისათვის.**

ფულის გადმოგზავნამდე რაიმიწგანმა საქმიწსახკომიდან მიიღო ცნობა თანხის გადმორიცხვის შესახებ და ვრცელი ინსტრუქცია, რომლითაც რაიმიწგანს ევალებოდა მწყემსების დაჯილდოებისას ჩაეტარებია ფართო ახსნა - განმარტებითი მუშაობა მათ შორის სოცშეჯიბრების ახალი ტალღის გამოსაწვევათ.

რაიმიწგანის გამგე ამხ. ისაკ ძებისაშვილი ასე არ მოიქცა. მან გაიფიქრა — მწყემსები ფულის მიღებას მაინც ვერ გაიგებენ, ამ თანხას სხვა საჭიროებისათვის მოვიხმარო.

17 მაისს მწყემსებისათვის გადმოგზავნილი ჯილდოდან ძებისაშვილის ხელმოწერით მიეცა მახვე 500 მანეთი მინდვრის მავნებლების წინააღმდეგ საჭირო შხამის და აპარატურის შესაძენათ (!).

17 მაისს ძებისაშვილის ხელმოწერით ვეტექიმ გედევანიშვილს მიეცა 300 მანეთი ვეტმედიკამენტების შესაძენათ (?!).

ამავე რიცხვში მიეცა 500 მანეთი აგრ. შალაშვილს ჯიშიანი ღორების შესაძენათ (?!). დანარჩენი 140 მანეთიც ამნაირათ „გაიხმარეს“.

როგორც თქვენ, მკითხველო არ შეგიძენიათ დუშეთის რაიმიწგანისათვის შხამი და აპარატურა, ისე არც ძებისაშვილს შეუძენია. 23 მაისს იგი შვებულებაში წავიდა და ეს ფულიც თან წაიღო.

გედევანიშვილს და შალაშვილსაც არ აქვთ წარდგენილი რაიმიწგანის ბუხჰალტერიაში ზემოაღნიშნული თანხის გასამართლებელი საბუთები. (ჩვენ არ ვიცით, რა საბუთი გაამართლებს ამ თანხების განიავებას).

ისაკ ძებისაშვილი ჯერ კიდევ არ ფიქრობდა მწყემსებზე ჯილდოს გაცემას, მაგრამ მწყემსების საჩივარი ადგილობრივ შეამოწმა „კომუნისტის“ კორესპონდენტმა. ეს მოხდა 29 აგვისტოს.

როცა ეს ამბავი გამოაშკარავდა, ძებისაშვილი ჯარასავით დატრიალდა. მივიდა ადგილობრივ ბანკის მმართველ ამხ. **რეზო კორინთელთან** და უთხრა:

— ძმაო რეზო, ახლა უნდა გამიწიო დახმარება. გადმოურიცხე მიწგანს 1440 მანეთი და მწყემსების დავალიანებას დავფარავ, თორემ გავითათხებით.

კორინთელი საგონებელში ჩავარდა. მიწგანს მიმდინარე ანგარიშზე ბანკში ამჟამად თანხა არა აქვს და ამიტომ გამოსავალს ვერ ვპოულობ, — ეუბნებოდა იგი ძებისაშვილს.

მაშინ ძებისაშვილმა უთხრა:

— შირაქში ჩვენი კოლმეურნეობები ჭებს აშენებენ. მათ ანგარიშიდან (№ 156/ბა) გადმომირიცხე ფული.

კორინთელი ყოყმანობდა, მაგრამ ძებისაშვილმა დაანუგეშა:

— არა უშავს, დღეს აქედან დავფარავთ, ხვალ / იქიდანო და თანაც კორინთელს არ შორდებოდა.

კორინთელმა ხათრი არ გაუტეხა და ზემოაღნიშნული ანგარიშით ძებისაშვილს გამოუწერა ქვითარი 1440 მანეთის მისაღებათ შირაქში ჭების მშენებლობის თანხებიდან.

მაგრამ გავიდა თუ არა ძებისაშვილი ბანკიდან, კორინთელმა მყისვე დახია ქვითარი. რატომ? იმიტომ, რომ გონს მოვიდა და გაითვალისწინა ყველა ის შედეგი, რაც შეიძლება მოჰყვეს უკანონოდ გამოწერილ ქვითარს.

ძებისაშვილმა გაიგო ეს და ელდა ეცა, მაგრამ მაინც პოვა გამოსავალი ისარგებლა იმით, რომ ის ამჟამად რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს, დაჯდა და მიაწერა ფინგანს:

— დღესვე გადმოურიცხეთ მიწგანის თანამშრომელთა ხელფასის დასაფარავად 1500 მანეთი.

ბრძანება შესრულდა.

მეორე დღესვე კაცი აფრინეს ფასანაურსა და გუდამაყარში მწყემსებზე ჯილდოების დასარიგებლად.

ისაკ ძებისაშვილმა სიმშვიდის ოფლი მოიწმინდა. ახლა ის დამშვიდებული, ნებივრულად, სამართლიანობისა და სათნოების მოციქულის გამომეტყველებით ზის მისი სამუშაო კაბინეტის სავარძელში და არხეინად განაგრძობს მიმდინარე მუშაობას.

⁂

დუშეთის რაიაღმასკომის დერეფანში გაიგონებთ მიწგანის თანამშრომელთა ასეთ ჩივილს:

პირველი თანამშრომელი: — ხუთი თვეა ხელფასი არ მიმიღია, მოვალეებმა ამიკლეს.

მეორე თანამშრომელი: — არც სამსახური მინდა ამათი და არც ჯამაგირი. როგორც იქნება გზის ფულს ვიშოვნი და უნდა გავშორდე აქაურობას.

აღმასკომის დარაჯი: — რა გაწუხებთ, ბიჭებო იმიტომ ხომ არ დარდობთ, რომ თქვენი ხელფასი თებრომ (თებრო გელაშვილი ფინგანის გამგეა) ფასანაურში გადაგზავნა მწყემსების დასაჯილდოებლად?..

ასეთ ატმოსფეროში — ისაკ ძებისაშვილს შეუძლია სავარძელში ნებივრულად იჯდეს, მაგრამ არა გვგონია მან დიდხანს შეინარჩუნოს დამშვიდებულის პოზა.

თ. კუნჭულია.

დუშეთი, 5 სექტემბერი.

ციტრუსები
მივხედოთ ტრიფოლიატას

ციტრუსების დედა, მათი საფუძველი, საძირე, რომელზედაც იმყნობა ლიმონი, მანდარინი, ფორთოხალი, გრეიფრუტი, კინკანი, ციტრონი და სხვა ჩვენში საკმაოდ ცნობილი ტრიფოლიატაა, მისი შემწეობით საბჭოთა სუბტროპიკებს ყოველწლიურად მილიონობით ეძლევა საუკეთესო ხარისხის ნერგი.

ნაწილობრივ ამას უნდა მიეწეროს ისიც, რომ მსოფლიო ომის წინადროინდელი 400 ჰექტარი უხარისხო და დაფანტული ნარგავების ნაცვლად ამჟამად 3.000 ჰექტარამდე მხოლოდ პლანტაციებია ჩვენში და ბევრად უკეთ მოწყობილი.

გარდა ამისა, მარტო ლიმონ-მანდარინის ტრესტს თითქმის სავსებით მზად აქვს პლანტაციებში დასარგავად 280.782 ძირი ნამყენი, და მათ შორის 30.000-ზე მეტი საზღვარგარეთიდან შემოტანილი კალმებით გახარებული საუკეთესო ჯიშის ხეა. სულ გასული წლის ნამყენი ჩვენში 2 მილიონამდე აღწევს, ხოლო წელს 2.106.000 ძირი უჯიშო უნდა დაიმყნას. ყოველივე ეს ტრიფოლიატის შემწეობით ხდება.

ამხ. ლ. ბერიამ, —ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების საუკეთესო ხელმძღვანელმა, ადრევე მოგვიწოდა: „ჩვენ უნდა განვახორციელოთ ამხ. სტალინის მითითება და შევქმნათ ისეთი პირობები, როცა აჭარისტანის, აფხაზეთის, საქართველოს და ლენქორანის სუბტროპიკული რაიონების ყოველი გლეხი გააშენებს ციტრუსოვან ხეხილებს თუ გინდ მინიმალურ რაოდენობით (30-40 ბუჩქს საკარმიდამო მეურნეობაში“.)

საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეობებშიაც, ცხადია, ციტრუსებს განსაკუთრებული საპატიო ადგილი აქვს დათმობილი. საერთოდ კი, სულ მოკლე დროში ციტრუსების ფართობი **10 ათას ჰექტარამდე** უნდა იქნეს აყვანილი. ამ მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობა თავდაპირველად უეჭველად ჯიშიან ნერგს ეკუთვნის, ხოლო მის გამოსაყვანად — ჯიშიან კალმებსა და ტრიფოლიატის საძირეს. ერთი სიტყვით, **„ციტრუსოვან კულტურების მასობრივად გავრცელების საქმეში განსაკუთრებული ყურადღება სანერგეების ორგანიზაციას ეძლევა“. (ლ. ბერია).**

აჭარისტანისა და აფხაზეთის მიწაწყალზე, გურია-სამეგრელოს და იმერეთშიაც ტრიფოლიატის მოსავლიანი ხეები ხშირად გვხვდება. ბევრია ის ტფილისის ბოტანიკურ ბაღშიაც. ამიტომ არის, რომ შარშანდელ 8 ათასის ნაცვლად **ტრიფოლიატის თესლი წელს 10.000 კილოგრამი უნდა დამზადდეს და თითოეულ კილოგრამ** თესლში ჩამბარებლებს 8 მანეთი მიეცემა.

შარშანდელმა მაგალითმა გვიჩვენა, რომ სუბტროპიკული რაიონების ბევრ სოფელში ტრიფოლიატის ნაყოფს საჭირო ყურადღება არ ექცეოდა, — თესლი ჩაიბნა და ჩალპა. ბევრგან მოსავლიანი ხეებიც კი აღურიცხველი და შეუსწავლელი იყო.

რას უნდა მიეწეროს ეს? — ცხადია უმთავრესად მხოლოდ იმას, რომ ზოგიერთებმა ტრიფოლატის დიდი მნიშვნელობა სათანადოდ ვერ შეაფასეს. ბევრმა კიდევ არ იცის, რომ **ტრიფოლიატა ერთადერთი საუკეთესო** საძირეა, რომელზედაც ციტრუსები იმყნობა, — ის ადვილად იტანს 20 გრადუსამდე ყინვას და ამ თვისებას თავის ჩამომავლობასა და ნაწილობრივ მასზედ დამყნილსაც გადასცემს. დამტკიცებულია, რომ ტრიფოლიატა გაზაფხულზე ვეგეტაციას გვიან იწყებს და შემოდგომაზე ადრე ამთავრებს, მაშასადამე, ნამყენის გამძლეობას აადვილებს.

ტრიფოლიატს დიდი გამოყენება აქვს აგრეთვე სხვა ციტრუსებთან შესაჯვარებლად, — გამძლე და გემრიელნაყოფა ხეების მისაღებად, ცოცხალი ღობის მოსაწყობად, ზეთის, სიმჟავისა და სპირტის დასამზადებლად.

რას უნდა მიექცეს ახლა მთავარი ყურადღება, რას გვავალებს ციტრუსების და კერძოდ კი ტრიფოლიატის განვითარების საქმე? — „ყოველი ხე უნდა იქნეს აღრიცხული და დაკვირვების ქვეშ აყვანილი“ (ლ. ბერია). არ მოვაკლოთ მცენარეს ყურადღება (საკვები, წყალი, წამლობა, სინათლე) და დამწიფებისთანავე, როგორც კი დაყვითლდება და ჩამოცვენას დაიწყებს, უკლებლად შევაგროვოთ თესლი. (თითო ნაყოფში საშუალოდ — 25 თესლია, ხოლო 150 ცალიდან მიღებული თესლი დაახლოვებით ერთ კილოგრამს იწონის). —

ტრიფოლიატას ნაყოფი ჩქარა უკვე მწიფობას დაიწყებს. სუბტროპიკული რაიონების მოვალეობაა ამ დროს ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ.

ტრ. თოდრაძე.

ყველა სკოლა სანიმუშოდ უნდა იყოს მომზადებული

(„კომუნისტის“ დამკვრელ მუშკორთა რეიდის მასალები)

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ტფილისის სკოლები ასე მომზადებული არასოდეს არ შეხვედრიან სასწავლო წელს.

ახალი სასწავლო წლის მომზადების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა, — ხელმძღვანელ საბჭოთა და პარტიული ორგანოების დირექტივის თანახმად ტფილისში 7 ახალი სასკოლო შენობის აგება — შესრულებულია.

94 დღის განმავლობაში ტფილისის მოსწავლე ახალგაზრდობამ მიიღო 105 ათასი კუბიკური მეტრის მოცულობის, 147 ნათელი, მზიანი, ფართო საკლასო ოთახი, 30-ზე მეტი კარგად მოწყობილი და ხელსაწყოსასწავლო ნივთებით მდიდარი კაბინეტი, მაღალ-ხარისხოვანი ახალი სასკოლო ინვენტარის საკმაო რაოდენობა.

ვადამდე დამთავრდა აგრეთვე 128 სასკოლო და საბავშვო დაწესებულების შენობების, ძველი ინვენტარის, ლაბორატორია - კაბინეტების შევსება - შეკეთება.

ტფილისის განათლების განყოფილებამ დროულად გადაწყვიტა პედაგოგიური კადრის შემადგენლობა, და წესიერად გაანაწილა ისინი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ისტორიის, გეოგრაფიის და საზოგადოებათმეცნიერების მასწავლებელთა შერჩევას, სკოლების პარტიული ძალებით განმტკიცებას.

ტფილისის ზოგიერთი სკოლის შემოწმებამ ნათელჰყო, რომ ცალკე სკოლებიც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, საკმაოდ მომზადებული არიან მოსწავლე ახალგაზრდობის მისაღებად და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გასაშლელად.

კიროვის რაიონში მე-14 სკოლას (დირექტორი ნ. ჭელიძე) წელს დიდი შეკეთება არ დასჭირვებია, რადგან ამ სკოლის მთელი კოლექტივი წარსული სასწავლო წლის განმავლობაში ფრთხილად და მზრუნველობით ინახავდა და უვლიდა სასკოლო შენობას, ოთახებს, ინვენტარს. ეს სკოლა ყოველმხრივ მომზადებული ხვდება ახალ სასწავლო წელს. ასევე კარგად მომზადებულია: მე-72, მე-42, განსახკომის პირველი, მე-32, მე-10, მე-82 და მე-29 სკოლები.

განსაკუთრებით გამოირჩევა მე-42 სკოლა, რომლის შენობა და ეზო ისე სუფთადაა შენახული, რომ მნახველს სიამოვნებას ჰგვრის.

მნახველს ხიბლავს მე-18 სკოლის კოხტად გამოჭიმული, ოთხსართულიანი ახლად აგებული შენობა. ამ ადგილზე 90-ოდე დღის წინათ უშნოდ ჩაყრილი ქოხმახები მოჩანდა, ახლა კი ასეთ უზარმაზარ და ლამაზ ნაგებ შენობას იმ გარემოში ვერ ნახავთ. სკოლის დირექტორს ამხ. პარმენ ქაჯაიას ზრუნვა არ მოუკლია, რომ ეს სკოლა კულტურულად და სანიმუშოდ მოეწყო.

მაგრამ მიღწევებთან ერთად სკოლებს ზოგიერთი ნაკლიც აღმოაჩნდათ. რაც მთავარია, ბევრი სკოლის ოთახებში კერძო პირები ცხოვრობენ. „კომუნისტის“ ბრიგადის მიერ გამოკვლეული 22 სკოლიდან ოთხი სკოლის (მე-29, განსახკომის პირველი, მე-14 და მე-72) შენობაში კერძო მობინადრეებს 23 საკლასო ოთახი უჭირავთ. მე-22 სკოლაში საუკეთესო, ნათელ საკლასო ოთახებში კერძო პირები ცხოვრობენ, ხოლო მთელი სკოლა 13 ბნელ ოთახშია მოთავსებული. ამ ოთახებში დღისით ელექტრონის შუქზე უნდა იმეცადინონ. განსახკომის პირველ სკოლაში 7 ოთახი ამ სკოლის ყოფილმა გამგეებმა ჩაიგდეს ხელში ეს მაშინ, როცა როგორც ეს სკოლა. ისე დანარჩენები ბინის დიდ სივიწროვეს განიცდიან.

მე97 სკოლის დირექტორი ამხ. არდაგანლი შეეცადა რეიდის მონაწილეთათვის მოეჩვენებინა, ვითომც მის სკოლაში ყველაფერი რიგზე იყო. მაგრამ შემოწმებამ სულ სხვა სურათი გადაგვიშალა. სასკოლო ინვენტარი მხოლოდ სანახევროდ არის შეკეთებული, დარჩენილის შეკეთებისათვის თავს არავინ იწუხებს. დაფები დახეთქილი და შეუღებავია, ახალი პარტები ჯერ კიდევ არ მოუტანიათ

— შეშა შევიძინეთ, მაგრამ გადმოსაზიდად თანხა არა გვაქვსო — აცხადებს ამხ. არდაგანლი. ამ სკოლის ბუფეტი ნესტიან, უსუფთაო და ბნელ სარდაფშია მოთავსებული. იქ მოწაფე, ძალიანაც რომ ჰშიოდეს, ვერ ისაუზმებს.

მე-101 სკოლაში 3 სექტემბრისათვის მასწავლებლები არ გამოცხადებულან, ახალი სასწავლო გეგმების მიხედვით ცხრილის შედგენაზე სკოლას არ უზრუნვია. საჭირო 22 პედაგოგიდან სკოლას ჯერჯერობით მხოლოდ 16 მასწავლებელი ჰყავს. ბინის სივიწროვის გამო სკოლას არა აქვს კაბინეტები და ლაბორატორიები.

მე-98 არასრულ საშუალო სკოლას შეუფერებელი და ვიწრო ბინა აქვს. სკოლის შეკეთება ჯერ არ დაუმთავრებიათ. სკოლის გვერდით მოთავსებულია საქ. ღარიბკომის ფეხსაცმელების სახელოსნო, საიდანაც სკოლის ოთახებში ამოდის რეზინისა და დამპალი ტყავის მყრალი სუნი. სკოლის მიდამო ისეა აშმორებული, რომ შეუჩვეველ ადამიანს სუნთქვა შეუხუთავს. საჭიროა სკოლისათვის ახალი ბინის გამონახვა.

მე-4 სკოლის შეკეთება არ არის დამთავრებული. 26 კომუნარის სახელობის რაიონის შემკეთებელ ტრესტის ინჟინერმა ამ სკოლის შეკეთების გეგმა რამდენჯერმე შეადგინა. ამან გააჭიანურა შეკეთების დამთავრება, ასეთივე მდგომარეობაა 26 კომუნარის რაიონის ბევრ სკოლაში. ამაში ბრალი განათლების განყოფილებასა და შემკეთებელ ტრესტს მიუძღვის.

სწავლის დაწყებამდი რამდენიმე დღე ღა დარჩა. არსებულ საშუალებათა მაქსიმალური გამოყენებით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს 15 სექტემბერს ყველა სკოლაში ნორმალური მეცადინეობის დაწყება.

რეიდის მონაწილენი: ვ. მეფარიშვილი, ე. ჩიგოგიძე, ი. წვველიძე, ა. გიორგაძე, ე. კლდიაშვილი, შ. შოთაშვილი გ. შკუბულიანი, ე. ცაზაროვი, შ. გიორგობიანი, ბ. ტერ-ტერაშვილი, ა. კახიანი, გ. თათრიშვილი, უ. ნაჭყებია, ა. ჯანიანი

ლენინის რაიონის თავდაცვა-ავია ქიმის სასწავლო პუნქტი. წვევამდელთა ჯგუფი აბარებს უკანასკნელ ნორმას ნიშანზე: „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“.

□ □ □

წერილები რაიონებიდან

ჩვენ უთუოდ გავიმარჯვებთ

ზუგდიდი. სოფელ ოდიშის კოლმეურნეობაში უკანასკნელ დრომდე დიდი სახარბიელო თითქმის არაფერი იყო, ძველი ხელმძღვანელობა საქმეებისთვის თავს დიდად არ იცხელებდა.

როგორია მდგომარეობა დღეს?—არცერთი ჩამორჩენილი საქმე კოლმეურნეობაში, არცერთი ნაკლი გამოუსწორებელი,—თქვეს ეს კოლმეურნეებმა და შეასრულეს კიდეც.

ამის შედეგია, რომ შრომა-დღეზე 8 მანეთის ნაცვლად თითოეულმა ახლა ავანსად 5 მანეთი მიიღო, გაიზარდა ლტოლვა კოლმეურნეობისაკენ და 200 კომლიდან 70 სულ ახალმიღებულია.

კლუბის საუკეთესო შენობის მოკლე დროში დამთავრების აუცილებლობა, მოსავლის უდანაკარგოდ აღების სერიოზული მნიშვნელობა, სხვა გადაუდებელი ვალდებულება აქ ყველას შეგნებული აქვს.

ბ. სართანია

ახალი ნაკადი მინდვრებისაკენ დაიძრა

სიღნაღი. არტელის ახალმა სტალინურმა წესდებამ რაიონში უჩვეულო ამბები გამოიწვია: კოლმეურნეობებში მასობრივად შეაქვთ განცხადებები: მიგვიღეთ, არ გაგვრიყოთ საერთო საქმისათვის სიცოცხლესაც არ დავიშურებთ,—ხშირად გაიგონებთ ერთპიროვნულ მეურნეებიდან.

ამ შედეგია: მარტო ზემო-მაჩხაანის კოლმეურნეობებში სულ მოკლე დროში 269 წევრი მიიღეს, აქედან სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში —57, ლ. ბერიას—105, კუიბიშევის—80, „შირაქში“—27.

ახალი ნაკადი,—გამარჯვებულ კოლმეურნეობათა მომავალი დამკვრელები უკვე დაიძრნენ მინდვრებისაკენ.

რა შეაჩერებს მათ წინსვლას?—ცხადია, არაფერი. მათ სახეზე გამარჯვების ურყევი რწმენა აღბეჭდილა.

მ. ცაკაშვილი

დამკვრელი სამდღიური

ხობი. სოფელი ქვედი ხიბულა და ბია საკოლმეურნეო მშენებლობის ფრონტზე სხვებს არ ჩამორჩება. აქაც დიდია ლტოლვა კოლმეურნეობებისაკენ,—ყველა ხედავს სოციალისტური შრომის უპირატესობასა და გამარჯვებას.

ამ გამარჯვების ერთერთი მაგალითიცაა, რომ ქვედ ხიბულაში კოლმეურნეობას „სოციალიზმში“ 50 ახალი წევრი შემატა და მსურველი კიდევ ბევრია ზემო ბიაში 15 ახალი განცხადება დააკმაყოფილეს, ხოლო დანარჩენს, ამ დღეებში განიხილავენ.

კოლმეურნეობათა ახალმა წევრებმა ახლა დამკვრელი 3 დღიური გამოაცხადეს და პირობას იძლევიან: არ დაუშვან ჩამორჩენის არცერთი შემთხვევა.

ქ. ხარჩილავა

კარგი ნაბიჯი ჩვენც გადავდგით

დუშეთი. სოფელი ხომში უმთავრესად მესაქონლეობას მისდევს. 30 აგვისტოს აქ ჩამოყალიბებულ იქნა კოლმეურნეობა 12 კომლით. გაერთიანებულია მეწველი საქონელი 19, ხბო 3 და 8 დეკეული.

ალ. უგონურაშვილი

სახელმწიფო გეგმას ნათესავები ამჯობინა

სიღნაღი. პურის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა,—რა პასუხისმგებლობას, რა დიდ ყურადღებას იპყრობს ის ადგილებზე ჩვენი სოციალისტური მშენებლობისაგან. გეგმა—კანონია, მტკიცე ვალდებულება და ის უეჭველად უნდა შესრულდეს.

ეს ასეა, მაგრამ ყველას როდის ესმის. აი „ზაგოტზერნოს“ წნორის პურის მიმღებ პუნქტის გამგე ზ. ბიკაშვილი. მან თავისი ძმა 110 კილოგრამი მარცვლეულის ჩაბარებისაგან გაანთავისუფლა, ჩაბარების ქვითარი კი მისცა, ვითომდა ჩაბარებისათვის ფულის აიღეს.

ასევე მოიქცა სხვა ნაცნობ-ნათესავების მიმართ, გაანთავისუფლა: სოფელ მირზაანში—პართენ და სოლომონ ხუციშვილები, ქვემო მაჩხაანში შაქრო მეძღლიშვილი, არბოშიკში გიორგი ბატიაშვილი. ამ პირებს ყველას ხელზე აქვს „ურყევი“ საბუთი,—770 კილოგრამი მარცვლეულის ჩაბარების ყალბი ქვითარი.

რაიპროკურორი ვალდებულია შესაფერად შეაფასოს ბიკაშვილის „დამსახურება“.

ალ. ზვინიძე

ორ კვირაში 120-ზე მეტი განცხადება

გურჯაანი. არტელ „წითელ ვარსკვლავში“ აქამდე 83 წევრი იყო. ახლა კი ორი კვირის განმავლობაში 120-ზე მეტი განცხადება შემოვიდა და 101 უკვე დაკმაყოფილდა.

ეს მდგომარეობა იმას უნდა მიეწეროს რომ მოსახლეობამ გაიგო ახალი სტალინური წესდება და კოლმეურნეობაშიაც საქმე წინ მიდის.

სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა, შრომის სწორი ორგანიზაცია, ხელმძღვანელთა საუკეთესო ყურადღება აქ ყველას ახალისებს და შრომას აყვარებს.

ამის შედეგია, რომ კოლმეურნე ზ. ძარინიშვილს გამომუშავებული აქვს 234 შრომადღე, მიხ. ზარდიაშვილს—209 შ. ლორთლიშვილს—199, ქალთა ბრიგადებიდან: თალიკო დათუკიშვილს—91, ბ. იმერლიშვილს—85, ვერა ზარდიაშვილს—72.

ბ. ზარდიაშვილი

უყურადღებობამ საქონელი და ბალახი გაათამამა

ლანჩხუთი. წყალწმინდის კოლმეურნეობა ჩაის კრეფის გეგმას ვერ ასრულებს. ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა მანდარინის და სხვა ძვირფას მცენარეთა პლანტაციებში საქონლის ჯოგია, მაგრამ ყურადღებას ნაკლებად აქცევენ.

არც მინერალურ სასუქს, არც პლანტაციის გათოხნას საჭირო ყურადღებას არ აქცევენ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ეტ. კვაჭანტირაძე და აგროტექნიკი ი. კუკულაძე ადვილად ითმენს იმ მდგომარეობას, როცა ჩაის გეგმის შესრულება 50 პროცენტს ვერ აცილდა. და მავნებლებმა პლანტაციები დალუპვამდე მიიყვანეს.

ხ. ბოლქვაძე

კონსტანტინე გამსახურდია

□ □ □

სალიტერატურო ქართულისათვის*)

არავის ისე არ ესაჭიროება ქართული ენა, როგორც ჩვენს მშრომელ ხალხს. ყოველი ქვეყნის არისტოკრატია მუდამ უცხო ენებით იოლად გასულა ფონს. საქართველოს თავად-აზნაურობა რევოლუციამდის ქართულს გაურბოდა, რომანოვების კარზე ფრანგული ბატონობდა, ხოლო ჰოჰენცოლერები და გერმანელი იუნკრები ინგლისურს არჩევდნენ გერმანულს. ჩვენს მუშათა კლასს— თავისი სახელმწიფოს, კულტურისა და ლიტერატურის აპარატების ნორმალური მუშაობა ძლიერ აინტერესებს, და, ცხადია, მისივე ინტერესია ამ აპარატის კონვეიერის — ენის დაწმენდა და დახვეწა.

დღეს ქართულ ენას გაცილებით უფრო დიდი დიაპაზონი მოეპოვება. ვიდრე ოდესმე. ასიათასობით კითხულობენ დღეს ქართულ წიგნს, ჟურნალსა და გაზეთს. ასიათასები მისდგომიან ჩვენი უნივერსიტეტის, ინსტიტუტების, მუშფაკების, სასწავლებლების კარებს. გუშინ და გუშინწინ მეჯოგეთა ფარეხებიდან, გლეხური გუთნეულებიდან დაძრული ასი ათასებით გავსილა აუდიტორიები, სამკითხველოები. დღევანდელმა დღემ მოწინავე როლი დააკისრა ქართულ მწერლობას.

ეს გარემოება განსაკუთრებით უნდა აძლიერებდეს მწერლისა და მთარგმნელის პასუხისმგებლობას. წიგნი ამოძრავდა, წიგნი გააქტივდა, წიგნის ლამპარი ანთია კოლმეურნის სამკითხველოში, მუშის ბინაზე, წითელარმიელთა ყაზარმებში. შეგნებული მკითხველის თვალში უდიდესი მნიშვნელობა აქვს წიგნის ენასა და ენის სიფაქიზეს. ვინაიდან ცუდი ენით დაწერილი წიგნი მტვრიან სათვალესა ჰგავს, ხანაც მურით შეთხუპნულ მინას ფანჯრისას.

ეს ყველას ესმის, მხოლოდ ჩვენი კრიტიკა და ჩვენი გამომცემლობანი ჯეროვან ყურადღებას ვერ აქცევენ ამას. **მე ჯერ არსად მინახავს, რომელიმე კრიტიკოსს ენის თვალსაზრისით განეხილოს ესა თუ ის შრომა,** არც ზოგიერთი რედაქტორი და სტილისტი იწუხებს ამ საქმის გამო თავს.

თუ შავიქვის, ნავთის, ბამბის, ჩაის, ხეტყის ფრონტზე ყოველდღე გაისმის დაძაბული ყიჟინა: ხარისხისათვის ვიბრძოლოთო, მწერლობა რაღად უნდა ჩამორჩეს? მით უმეტეს ასეთი სიგნალი მრავალგზის გადაუსროლიათ მწერლობაში.

თანადროული ქართულის დამახინჯებანი სხვადასხვა გვარი ბუნებისანი არიან: ენას რყვნიან უპირატესად ქართულის არმცოდნე მწერლები, ჟურნალისტები და მთარგმნელები. **ენობრივი ლაპსუსები ჯერ კიდევ გააზრების პირველადს პროცესში ისახებიან.** ენას რყვნის ის კალმოსანიც, ვისაც ახალი ქართულისათვის სათანადო მიმართება ვერ მიუცია, ენის ეთიმოლოგიისა და სინტაქსის არმცოდნე უხეირო პროვინციალიზმებითა და უცხო სიტყვებით ხერგავს ქართულ ლექსიკას.

ენის შემრყვნელნი რამდენიმე კატეგორიათ უნდა დავყოთ: ზოგიერთს ჯერაც ვერ დაუღწევია თავი იმ ტომის დიალექტიდან, საიდანაც თვითონაა ამოსული. ზოგმა ასე თუ ისე იცის ენა, მაგრამ მისი ხასიათის დაუდევრობა მის ნაშრომშიც ცხადდება. მიუგდებენ რედაქციას გადაუთეთრებელ, გაუსწორებელ, დაჯღაბნილ ხელნაწერს და მერმე თავი უნდა იტეხონ რედაქტორმა, სტილისტმა, კორექტორმა და სტამბის მუშამ! ზოგიც ბრმა მოდას აჰყოლია, შეგნებულად სწერს პროვინციული ჟარგონით. (რაკი ყური მოუკრავს: საფრანგეთში რომელიღაც მწერალი პარიზელი „არგოს“ ხმარობს, რუსეთში რომელიღაც კალმოსანი ყაზახურ დიალექტს იშველიებსო).

სინტაქსს ნუ იკითხავთ, ქართული სინტაქსი შესაბრალისია, ჩვენს ავტორებსა და მთარგმნელებს ავიწყდებათ, რომ ქართული ეთიმოლოგია და სინტაქსი სავსებით არა ჰგავს **ლათინური გრამატიკის თარგზე აგებულ ენების სინტაქსსა და ეთიმოლოგიას.** განსაკუთრებით დიდი უპასუხისმგებლობა დამკვიდრებულია პროზაში. ლექსში მუსიკა, ამღერების ტემბრი შველის მწერალს, ასე რომ უდიდესი მავნებლობა პროზის წიაღიდან გამოდის. უკულტურო მწერალს ასე ჰგონია: პროზა ადვილიაო, რადგან, მისი აზრით, პროზას არც რიტმი სჭირდება, არც ფრაზის სიმსუბუქე, არც აზრის შეკუმშვა და მოდრეკა. ზოგიერთ მწერალს გაუგონია: პროზაში ავტორის პირადი აზრი და სტილი არ უნდა სჩანდესო, ზოგსაც ასე ჰგონია. თითქოს ყოველ ავტორს უფლება ჰქონდეს ყოველგვარი უცხო სიტყვა ან პროვინციალიზმი შემოათრიოს ლიტერატურაში, **გმირის ნათქვამის სახით.** ერთნი საკმარის ოსტატობას ვერ იჩენენ, დროზე ვერ შეაყენებენ ხოლმე ლაპარაკის სალერღელ აშლილ გმირს, ხოლო მეორენი ვერ მიმხვდარან, **რომ მწერალს ყოველთვის როდი აქვს უფლება რეკომენდაცია გაუკეთოს ამა თუ იმ სიტყვას.** ამ გზით იხერგება ენა ხალტურული კომედიებიდან ესტრადის კუპლეტებიდან, სახელდახელოდ დაწერილი წერილებიდან, უნიჭო თარგმანებიდან გადმოსროლილი სიტყვებით.

არსებითად, ჯერ უხმარი, პროვინციული, ან უცხო სიტყვის შემოღება უნდა ხდებოდეს **მხოლოდ იმ** შემთხვევაში, როცა **დედა ქართულში არ მოიძებნება ამა თუ იმ ცნების გამომხატველი ბადალის სიტყვა.** ზოგმა მწერალმა იცის, წაჰხედა, მაგრამ ბევრი არ მოჰგონებია რომაული ანდაზა: რასაც იუპიტერს აპატიებენ, იმას ხარს არავინ შეუნდობსო.

არანაკლები მავნებლობა ხდება ცუდი მთარგმნელების წყალობით. თარგმნა, თუ იგი იდეური სიფაქიზისა და გეგმიანობის მიხედვით **ხდება, ლიტერატურასა და ენას სასიცოცხლო ენერგიას მატებს კიდევაც. აქ** უმთავრესია: **მთარგმნელი არ მოექცეს იმ ენის ზედგავლენის ქვეშ, საიდანაც ნაწარმოები ითარგმნება.** და ეს ხდება მაშინ, როცა მთარგმნელი ან არ იცნობს ჯეროვანად თავისი ენის ბუნებას, ან დაუდევრად ექცევა მას მათემატიკურად ზუსტი სიტყვიერი ბადალის ძებნისას.

მაგ., ფრიად გავრცელებულია ქართული ენისათვის სავსებით მიუღებელი ფორმა „მიზნით“: „თესვის კამპანიის ჩატარების მიზნით“, „ბიუჯეტის განხილვის მიზნით“. ქართულს ხომ მოეპოვება რუსული „для чтобы“-ს და с целью-ს საბადლო ფორმა, სავსებით მარტივი და მარჯვე. თესვის კამპანიის ჩასატარებლად, ბიუჯეტის განსახილველად, წარმოების ჩასაბარებლად, ქარხნის ასაგებად.

დამახინჯებულმა და აღრეულმა მეტყველებამ თავს მოგვახვია გაუგონარი კურიოზები. ერთერთ ოფიციალურ ცირკულიარში ეს ამოვიკითხე: „აღწერის წარმოების პერიოდში დაარსებულ იქნას რესპუბლიკანური კომისია, სტატ. ცენტრ. სამართველოს მმართველის თავმჯდომარეობით და განათლების სახალხო კომისარიატისა და აღწერის უშუალო ხელმძღვანელის შემადგენლობით“. ამ ბრძანებას ასე დასწერდა ქართულად დამწერი: „დაარსდეს რესპუბლიკური („და არა რესპუბლიკანური“) კომისია, რომლის თავმჯდომარეობა სტატ. ცენტრ. სამართველოს თავმჯდომარეს ეკისრება, ხოლო კომისიის წევრებად განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი და ამ აღწერის ხელმძღვანელი ინიშნებიან“.

უნდა ვიბრძოლოთ ქართულის დაწმენდისათვის, მაგრამ ეს არამც და არამც არ ნიშნავს კარჩაკეტილობის ქადაგებას. ყოველი ცოცხალი ენა უპირველეს ყოვლისა მახლობელი, მონათესავე ენებიდან და ენაკავებიდან სესხულობს ახალსა და ახალ მარაგს. **ჩვენი უპირველესი მიზანი ეს უნდა იყოს: ქართული სინტაქსის გამართლება და გაჯანსაღება.** რადგან ენას დაზიანება აქედან იწყება უპირატესად. **ქართული ენის მოდერნიზირებასაც უდიდესი ყურადღებით უნდა მოვექცეთ.** სხვა დიდი და კულტურული ენების კვალობაზე ჩვენც უშიშრად უნდა შემოუშვათ ქართულში უკვე სავსებით ინტერნაციონალურად გამხდარი სიტყვები: პროგრესი, ელექტრონი, სეზონი, მიკროსკოპი, მოდა, სპეციფიური, სპეციფიკუმი, ტრესტი, პოზიცია, ადექვატი, ექვივალენტი, ტონაჟი და სხვა მისთანანი. მათი თარგმანი უაზრობაა, უეჭველად უნდა უკუვაგდოთ უკანასკნელ წლებში შემოღებული პროჟექტორის ბადალი „შუქტყორცნი“, პროპელერისა — „წიმწიმი“, რადიოსი „სხივარი“, მაშინისა —„ქმისი“, ჰიპერბოლის ნაცვლად „მეტქიმი“ და სხვ.

უცხო ენათაგან ნასესხები, სიტყვების დაწერილობასაც დიდის სიფრთხილით უნდა შემოღება. რადგანაც ქართულში სიტყვის დაწერილობა და გამოთქმა თითქმის ადექვატურია, ესა თუ ის უცხო სიტყვა უნდა შემოვიღოთ იმ სახით, როგორც იგი გამოითქმის ხოლმე იმ ენაზე, რომლისაგანაც ვსესხულობთ მას.

უნდა დაიწეროს და ითქვას ტრილოგია და არა „ტრილოღია“, ჰაინე და არა „ჰეინე“, ევროპული და არა „ევროპიული“, „გენიოსი და არა „ჰენიოსი“, ჰაუპტმანი და არა „გაუპტმანი“ (აქ გამონაკლისს შეადგენს **ალიგჰიერი,** რადგან ამ პოეტს უწინ, შეცდომით სხვაგვარადაც ახსენებდნენ — „ალიგიერი“) და სხვ.

ქართული ენის დახვეწისათვის მარტოოდენ თეორიული მსჯელობა არა კმარა. განათლების სახალხო კომისარიატის ზედამხედველი ორგანოები, ალბად, მომეტებულის ყურადღებით მოექცევიან სახელმძღვანელოების ენასა და მართლწერას; გამომცემლობებმა, ჟურნალების და გაზეთების რედაქტორებმა მეტი პასუხისმგებლობა უნდა დააკისრონ რედაქტორებს, სტილისტებსა და კორექტორებს. ქალაქის აღმასკომმა და მთავლიტმა უნდა შესძლონ აბრების, აფიშებისა და წარწერების ენის გაუმჯობესება. ამას არც ისე მცირე მნიშვნელობა აქვს, როგორც ბევრსა ჰგონია. ქალაქში ახლად ჩამოსული ბავშვი, წერა-კითხვაში გაუწაფავი ადამიანი ქალაქის აბრების შემწეობით სწავლობს თავდაპირველად კითხვას. ეს ასე ხდება ყოველ კულტურულ ქალაქში.

ასეთივე ყურადღებით უნდა მოვექცეთ ჩვენი დაწესებულებების, ქარხნების, სკოლების და წითელი ყაზარმების კედლის გაზეთებს, დასასრულ — სარაიონო პრესას. არასოდეს ამდენი გაზეთი არ გამოსულა საქართველოს სხვადასხვა რაიონში, რამდენიც დღეს გამოდის; შეძლებისამებრ ვათვალიერებ მათ რაიონებში მოგზაურობის დროს. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ გაზეთების ენის ქებას ჯერჯერობით ვერ ვიკისრებდი.

ფეოდალური საქართველოს სოციალური და პოლიტიკური წყობილების მეოხებით დაქსაქსული იყვნენ ქართველი ტომები და მათი დიალექტები. უეჭველია, საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური მთლიანობა, სოციალისტური მეურნეობა, ახალი და ახალი საწარმოო ცენტრების წარმოშობა, ქალაქური მეურნეობის გაძლიერება, სახელმწიფო დაწესებულებათა და სასწავლებლების სოფლად გამრავლება. **ქართველი ტომების დიალექტებს ქართული ენის საერთო ზღვაში გააერთიანებს.**

დიახ, ჩვენმა მწერლებმა ყოველი ტომის ენაკავიდან შემოიტანონ ის. სიტყვიერი მარაგი, **რომელიც საჭირო და აუცილებელი იქნება** ქართული ენის გასაცხოველებლად და ხალხთან დასაახლოვებლად, მაგრამ ერთი წუთითაც არ უნდა დაგვავიწყდეს ის გზა, ქართული სიტყვის დიდ ოსტატებს, ქართულ კლასიკურ ლიტერატურას რომ მიუჩენებია ამ ენისათვის.

---

*) კამათის წესით. რედ.

წერილების კვალდაკვალ
„გავდევნოთ კოლმეურნეობიდან ანტისაბჭოთა ელემენტები“

„კომუნისტის“ რედაქციამ მიმდინარე წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში მიიღო ცნობა, რომ **ცაგერის რაიონის სოფელ ნაკურალეშის** კოლმეურნეობაში მოკალათებული არიან ანტისაბჭოთა ელემენტები და ადგილი აქვს მთელ რიგ უმსგავსოებას.

რედაქციამ აღნიშნული მასალა გამოსარკვევად და საჭირო ზომების მისაღებად გადაუგზავნა ცაგერის პარტრაიკომს, რომელმაც გვაცნობა, რომ კორესპონდენციაში მოყვანილი **ფაქტები დადასტურდა.**

რაიკომის დადგენილებით **სამუშაოდან მოხსნილი არიან:**

კოლმეურნეობის სასაქონლო ფერმის გამგე, ყოფილი **დიაკვანი რაჟდენ გოლეთიანი.** საკოლმეურნეო საცავების გამგე, ურთიერთ დამხმარე სალაროს თავმჯდომარე და საკოლმეურნეო ქონების მცველი, — **ყოფილი მენშევიკი და ვაჭარი ნიკო ყურაშვილი.** მეექვსე ბრიგადის ხელმძღვანელი, ყოფილი დიაკვანი ამბროსი გოლეთიანი.

გარდა ამისა, როგორც რაიკომი გვატყობინებს ინსტრუქტორის საშუალებით სწარმოებს მუშაობა დამატებითი ფაქტების შესასწავლად.

⁂

რედაქციისაგან: უნდა აღინიშნოს შემდეგი: მიუხედავად რედაქციის მიერ თავის დროზე მიცემული სიგნალისა, ს.კ.პ. (ბ) ცაგერის რაიკომმა ამ საქმის გამოკვლევა მეტის მეტად დააგვიანა. ნაკურალეშის კოლმეურნეობაში უმსგავსოებათა შესახებ ივლისში აღძრული საქმე 5 სექტემბრისთვისაც არ იყო საბოლოოდ გამორკვეული.

რაიკომის მიერ მიღებული ზომები ჩვენ მიგვაჩნია არასაკმარისად. საჭიროა ნაკურალეშის კოლმეურნეობის მდგომარეობის საფუძვლიანი შესწავლა და იქიდან ყველა მიტმასნილი და უცხო ელემენტების განდევნა.

სურათზე: მარცხნივ—ქაღალდის ფაბრიკის მთავარი კორპუსი, მარჯვნივ საროლერო საამქრო. მარცხნივ წრეში — ფაბრიკის მშენებლობის უფროსი ამხ. გიორგი ბადრიაშვილი, ქვევით პარტკომის მდივანი ა. ბალდასაროვი. მარჯვენივ წრეში — მთავარი ინჟენერი ა. ლომინაძე, ქვევით — ფაბრიკის მშენებლობის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. სერგო ნაგაპეტიანი. შუაში —მუშები პირველი ქაღალდით.

აკადემიკოს ა. ა. რიხტერის ჩამოსვლა

6 სექტემბერს ტფილისში ჩამოვიდა გამოჩენილი სპეციალისტი ნიადაგთმცოდნეობის დარგში, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის და მოსკოვის ლენინის სახელობის სასოფლო - სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ა. ა. რიხტერი.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს ა. ა. რიხტერმა განაცხადა:

— საქართველოში ჩემი ჩამოსვლის ძირითადი მიზანია — ვინახულო ბათომი, სადაც მეორე ზაფხულია მუშაობენ სამეცნიერო მუშაკთა ბრიგადები ტენიან სუბტროპიკების ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესების, ციტრუსოვანი კულტურების (ლიმონი და ფორთოხალი) ნაყოფის ვადაზე ადრე ხელოვნურად დამწიფების საკითხებზე, აგრეთვე მუშათა საცხოვრებელი სახლების გამწვანების პირობებთან ციტრუსოვანი კულტურების შეგუების საკითხებზე. მე იქ გავეცნობი სამუშაოების მდგომარეობას და მივცემ საჭირო მითითებებს.

ტფილისში მე დავალებული მაქვს გავეცნო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ფიზიოლოგიური ლაბორატორიის მუშაობის პირობებს. ამავე მიზნით მე ბათომიდან გავემგზავრები ერევანში, სადაც აკადემიის სომხეთის ფილიალის ორგანიზაციის შემდეგ მუშაობა დაიწყეს ფიზიოლოგიურმა ლაბორატორიებმა.

ყოველი ჩემი ჩამოსვლა მარწმუნებს, რომ აქ აგრო-ფიზიოლოგიური მხრივ უდიდესი შესაძლებლობანი მოიპოვება და საჭიროა ამ სამუშაოების სწორად და ნორმალურად დაყენება. (ასს).

□

ფრუნზეს სახელობის დივიზიის ათასეული

ყაზბეგზე ასასვლელად ემზადება

დღეს ყაზბეგში მიემგზავრება მეორე ქართული, ფრუნზეს სახელობის დივიზიის № ათასეული, რომელსაც დავალებული აქვს ავიდეს კავკასიონის ერთერთ ყველაზე მაღალ (5038 მეტრი ზღვის დონიდან) მწვერვალზე — ყაზბეგზე.

ათასეულის მებრძოლები იქნებიან სრულ საომარ საჭურველში და მწვერვალზე ავლენ იერიშის წესით.

ყაზბეგის მწვერვალზე დასადგმელად ათასეულს თან მიაქვს ამხ. სტალინის დიდი ბიუსტი და მისი დასამაგრებელი მასალები. გარდა ამისა, წითელარმიელებმა მწვერვალზე უნდა აიტანონ ზარბაზანი და ტყვიამფრქვევები.

ათასეულს მიაქვს აგრეთვე რადიო - სადგური, რომელსაც დასდგამენ მწვერვალზე ასვლის შესახებ ცნობების გადასაცემად.

ათასეულს თან მიჰყვება საკავშირო გუნდი, რომელსაც დავალებული აქვს ტელეფონის გაყვანა სოფ. ყაზბეგიდან მწვერვალამდე.

ასვლა დაიწყება 10 ან 11 სექტემბერს. ყაზბეგის მწვერვალზე წითელარმიელთა მასობრივი ასვლა პირველი მაგალითია.

30 არქიტექტურული პროექტი

ამ ნახევარი წლის წინათ ტფილისის საბჭოსთან ჩამოყალიბდა საარქიტექტურო-საპროექტო სახელოსნო, რომელმაც თავისი არსებობის მოკლე ხნის განმავლობაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. მან შესძლო ქალაქის მშენებლობის უზრუნველყოფა საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების მთელი რიგი ძვირფასი არქიტექტურული პროექტებით.

სახელოსნოში სამუშაოდ მოწვეულია ოცზე მეტი ინჟინერი და არქიტექტორი, მათ შორის ისეთი გამოჩენილი სპეციალისტები, როგორიც არიან არქიტექტორები: კალაშნიკოვი, ნეპრინცევი, პროფ. ხეროცინსკი, ინჟინერი თოიძე და სხვები, რომლებსაც დაპროექტებისა და მშენებლობის დარგში მუშაობის დიდი სტაჟი აქვთ.

თავისი არსებობის განმავლობაში სახელოსნომ 80-ზე მეტი არქიტექტურული პროექტი შეასრულა. მათ შორის ყურადღებას იპყრობენ ბალნეოლოგიური კურორტის საბაზანო შენობის ფასადის, ა.-კ. რკინისგზის საქალაქო სადგურის შენობების, მადათოვის კუნძულზე ქალაქის რკინიგზის ქვესადგურის, ხანძრისაგან დაცვის სამმართველოს, პლეხანოვის პროსპექტზე დიდი ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი, ორი სრული საშუალო სკოლისა და სხვა პროექტები.

სახელოსნომ დაამუშავა აგრეთვე მცირე ფორმების არქიტექტურული პროექტები—გამაგრილებელი სასმელების გასაყიდი პავილიონები, ბოტანიკურ ბაღში შესასვლელი, ტრესტ „კაფე-რესტორანის" ტიპიური კიოსკი პავილიონი პლეხანოვის კლუბში, კოლმეურნეთა საპატიო დაფა, კიროვის სახელობის პარკში შესასვლელი და სხვ.

სახელოსნოს მიერ დაპროექტებული შენობების ნაწილი (ორი სრული საშუალო სკოლა) უკვე გადაცემულია საექსპლოატაციოდ. დანარჩენი პროექტები (აბაზანების შენობა და სხვ.) განხორციელების პროცესშია.

ამჟამად სახელოსნო ამზადებს სამუშაო გეგმებს მომავალი წლისათვის. უკვე გათვალისწინებულია მთელი რიგი სკოლების, საცხოვრებელი სახლების, ტრამვაის სარემონტო სახელოსნოს, სავადმყოფო შენობების და სხვა დაპროექტება.

სახელოსნოს უფროსმა არქიტექტორმა პროფ. ხეროცინსკიმ სახელოსნოს მუშაობის შესახებ შემდეგი განაცხადა:

— ჩვენი სახელოსნო თავის მუშაობას აგებს წარსული არქიტექტურული მემკვიდრეობის ღრმა კრიტიკული შესწავლის საფუძველზე ამასთანავე მიისწრაფის თავისი, საბჭოთა სტილის შექმნისაკენ. სახელოსნოს დამპროექტებლებს მინიჭებული აქვთ სრული თავისუფლება ამოირჩიონ ესათუის ძირითადი პრინციპი შემოქმედებითი მუშაობისათვის. ზოგიერთმა დამპროექტებელმა თავისი მუშაობის საფუძვლად მიიღო საქართველოს არქიტექტურის განვითარება (კოლმეურნეთა საპატიო დაფა). დაპროექტებისას სახელოსნო ხელმძღვანელობს პარტიისა და მთავრობის მითითებით, რომ არქიტექტურა საბჭოთა კავშირში უნდა იყოს მხიარული, დინამიკური, სადა და გამომეტყველი.

პირველი დღე ქაღალდის ფაბრიკაში

ნავთლუღის შიშველი მიდამოები საბჭოთა ქარხნების მრავალსართულიანი შენობებით და მაღალი შავი მილებით იფარება. ორიოდე წლის წინათ ამ თვალუწვდენელ ველზე აქა-იქ გაფანტული, დანგრეულ ქოხებს შუა შეამჩნევდით მხოლოდ ტფილისის რადიოსადგურის მაღალ ანძებს. დღეს ნავთლუღი ტფილისის ინდუსტრიული რაიონია; ფეხსაცმელების ვეებერთელა ფაბრიკასა, პურის კომბინატისა და რადიო-სადგურის ანძებს შუა 1933 წლიდან დღემდე შენდებოდა ქაღალდის ფაბრიკა.

ამ დიდი ქარხნის აშენება თამბაქოს მრეწველობის სწრაფმა განვითარებამ გამოიწვია.

6 სექტემბრის ღამე დაუვიწყარია ქაღალდის ფაბრიკის მშენებელი მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსთათვის; ამ ღამეს ასეულ კუნთებდაჭიმულ ადამიანებს არ უგრძვნიათ დაღალვა—არცერთს მათგანს არ გამოუთქვამს სურვილი „ჩვალამდე" მიეტოვებინა ხრახნილოვანი დაზგები, კრიალა როლერები და აუზები.

ღამეა... სძინავს ნავთლუღის მიდამოებს, არ სძინავს მხოლოდ ქაღალდის ქარხანას, არ სთვლემენ მისი მშენებელი ენტუზიასტები..

პროჟექტორებივით ბრჭყინავენ ფაბრიკის განიერი ფანჯრები, ელნათურებიანი ხელები სწრაფად მოძრაობენ მანქანების ირგვლივ და როლერებს ჯურღმულში..

ახლა მთავარია მანქანის ყოველი ნაწილი ზუსტად თავის ადგილას იყოს, ყოველი ხრახნილი თავისუფლად მოძრაობდეს ზეთიან ყალიბებში და სწრაფად მიახრიალებდეს თავის ღერძებზე ქეჩისა და ტილოს ფართო დაუსრულებელ ღვედებს.

ახლა მთავარია დაკვირვებული და გამჭრიახი იყო—ერთი პატარა ნაწილის უზუსტოდ დადგმამ შეიძლება დაამსხვრიოს დაზგების ურთულესი მექანიზმები... და აი მშენებლობის უფროსი ამხ. ბადრიაშვილი და მთავარი ინჟინერი ლომინაძე შეუსვენებლივ დადიან მანქანების ირგვლივ ყოველ დანადგარს თავისი ხელით ამოწმებენ, მიმოდიან დარბაზებში, ჩადიან სქელკედლებიან, მილებით დახლართულ სარდაფებში.

ეს ღამე შრომაში გართულ ენტუზიასტებს ზედ დაათენდათ. ნავთლუღის მიდამოები განთიადის მკრთალ სინათლეში გაეხვია. 5 ს. და 40 წუთზე ყველაფერი მზად იყო—ყოველი ნაწილი რიგზე იყო: თითოეული მუშა და მექანიკოსი თავის ადგილას იდგა...

მთავარმა ინჟინერმა ამაყად შეხედა მშენებლობის უფროსს და მოქანცული ხმით წარმოსთქვა: ყველაფერი მზადაა უფროსმა მექანიკოსმა ი. როზენტალმა ელექტროდენის მკვებავი სახელური მკვიდროდ ჩართო დენში, სამუშაოს მწარმოებელმა ინჟ. ნ. ეღიბაროვმა სწრაფად შემოატრიალა მაკულატურის აუზის დიდი თოკანი, მუშებმა ხელებში შეათამაშეს დაზგების საკეტები და ხრული 6 საათისათვის დამზადებული სამქროდან დაძრული მაკულატურა გადმოხარშავ ქვაბებში მოექცა, აირია, თხელ მასად გადაიქცა და მოტრიალე როლერებში ჩაინთქა. აქ მას მიემატა ქიმიკატები—წებო და კანიფოლი, ეს ნარევი სითხე გადავიდა მოხარშე აუზებში, აქედან ქაღალდის მანქანაში გაირბინა უთვალავი ღერძები, გაეკრა ფართო ტილოს, რომელმაც იგი გახურებულ ცილინდრებზე გადაატარა და დიდრონ რულონებად შეაგორა სასწყობებში...

ახმაურდა მანქანები... საბჭოთა მანქანები—დაზგები, და ღერძები და როლერები, ლენინის ქალაქიდან —მეორე ხუთწლედის სახელობის— და როშალის სახ. ქარხნებიდან მიღებული დანადგარები და ნაწილები. ამ რთული მანქანების არც ერთი ხრახნილი არ არის უცხოეთიდან შემოტანილი.

მხიარულობს ქარხანა, დაზგები და იცინიან ენტუზიასტები: ნ. ნაზაროვი, ტ. აბრამოვი, ა. კალაშიანი, ნ. ვიხრივი, ი. სხირტლაძე, ინჟ. მათვეევი, ი. ბუქასოვი და სხვები.

ხრიალებენ დაუსრულებელი ღვედები და მოხრიალებენ ქაღალდები—სქელი, თხელი—როგორიც გნებავთ—ოღონდ ამ ხრახნილებს კარგად ადევნეთ თვალი..

არის წუთში 40 მეტრი ქაღალდი. . . 45 . . . 48,50 . . . არის მაქსიმალური დატვირთვა—56—60 მეტრი..

არის წელიწადში 3000 ტონა ქაღალდი.

ია—ბო.

ფეხით ლაგოდეხიდან დაღესტნის რესპუბლიკაში

ლაგოდეხი, 7 სექტემბერი. დღეს დაიწყო ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეთა ქვეითი ლაშქრობა დაღესტნის რესპუბლიკაში. 35 დამკვრელი კოლმეურნე ფეხით გაემგზავრა 300 კილომეტრის მანძილზე მარშრუტით: ლაგოდეხი-ტლიარატი - მახაჭკალა. გადასვლის მიზანია ჩვენი კოლმეურნეების სიჯანსაღის გამომჟღავნება და ამტანობის ცხადყოფა, ჩვენება, რომ ისინი მზად არიან სოციალისტური სამშობლოს დასაცავად, სოციალისტური მშენებლობის გაცნობა დაღესტანში, დაღესტნის მშრომელებთან დაკავშირება, პროლეტარული ტურიზმისა, ექსკურსიების და თავდაცვითი მუშაობის პოპულარიზაცია.

უკან დაბრუნებისას კოლმეურნეები გამოივლიან ბაქოსა და ტფილისში.

გადასვლის მონაწილეთა შემადგენლობაში შედის ლაგოდეხის რაიონის ყველა ეროვნების საკოლმეურნეო აქტივი: ქართველი — 24, სომეხი — 4, თურქი — 3 და რუსი— 4. მათში ყველაზე ხნიერია — 67 წლის ხანდრო გრეინაბაშვილი, კოლმეურნეობა „წითელი სხივიდან", ყველაზე ახალგაზრდაა — 19 წლის მახმედ-ოღლი, მუსაბეკოვის სახელობის კოლმეურნეობიდან.

დაჟინებითი თხოვნის მიუხედავად, გადასვლის მოწყობას საქ. პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოება არაფრით არ დახმარებია.

საქ. კ.პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომის მდივანი მ. იმედაძე.

თელავში გაიხსნა ფიზკულტურის სტადიონი

ახალგაზრდობის მე-21 საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით პირველ სექტემბერს თელავში გაიხსნა ამხ. ლ. ბერიას სახელობის ფიზკულტურის სტადიონი.

სტადიონის მშენებლობის ინიციატორი არის საქ. კ.პ. (ბ) თელავის რაიკომის მდივანი ამხ. ხ. კარსანიძე.

სტადიონის საზეიმო გახსნისას შესდგა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელიც გახსნა ამხ. კარსანიძემ. წაკითხული იქნა საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის და ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს მისასალმებელი დეპეშები.

მიტინგის დამთავრების შემდეგ მოეწყო ტფილისელ ფრენბურთელთა შეჯიბრება და თელავის ფიზკულტურელთა გამოსვლა.

სურათზე: თელავის სტადიონი.

10 ახალი სასკოლო შენობა

ახალი სასკოლო შენობების დამთავრებასა და მიღებასთან დაკავშირებით, ტფილისის განათლების განყოფილებამ დაამუშავა მომავალი, 1936 წლის სასკოლო მშენებლობის გეგმა.

გადაწყვეტილია მომავალ წელს მარტო ტფილისის საბჭოს ბიუჯეტით გათვალისწინებულ იქნას 10 ახალი სასკოლო შენობის აგება. მშენებლობის წარმოება მიენდობა სასკოლო მშენებლობის ტრესტს, ხოლო საერთო მეთვალყურეობა ტფილისის საბჭოს განათლების განყოფილებას.

10 ახალი სასკოლო შენობის აგება დაჯდება 14.200.000 მანეთი და მათი მოწყობა (სასკოლო ინვენტარი, ეზოების კეთილმოწყობა და სხ.) — 1.300.000 მანეთი.

ახალი შენობების აგება დაიწყება თებერვალ - მარტიდან იმ ანგარიშით, რომ 1936-37 სასწავლო წლისათვის შენობები მზად იყოს მოწაფეების მისაღებად.

□

ჯუღელი—სამტრედია

ჯუღელი — სამტრედიის რკინიგზის უბნის ელექტროფიკაციის სამუშაოები უკანასკნელ დროს საგრძნობლად გაფართოვდა.

მთელს უბანზე ქ. ჯუღელიდან იანეთამდე დამთავრებულია საკონტაქტო ხაზის ბოძების დასმა. ბოძების დადგმა საჭიროა კიდევ 5 კილომეტრზე იანეთიდან სამტრედიამდე. დაიწყო საკონტაქტო ხაზის მონტაჟი, რაც დეკემბერში დამთავრდება.

შენდება წევის ორი ქვესადგური — ერთი რიონში, მეორე — სამტრედიაში. რიონის ქვესადგურის შენობის აგება ძირითადად დამთავრებულია და ამჟამად წარმოებს სამონტაჟო სამუშაოები.

მთავრდება სამტრედიის ქვესადგურის შენობაც.

ჯუღელი — სამტრედიის ელექტროფიცირებული უბანი საექსპლოატაციოდ გადაეცემა წელს, დეკემბერში. ამ უბნის ამუშავებით ა.-კ. რკინიგზაზე სულ ელექტროფიცირებული იქნება 242 კილომეტრი.

□

პარტკალენდარი

— საქ. კ.პ. (ბ) ტფ. ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომი იუწყება, რომ პროპაგანდისტთა სემინარის მორიგი მეცადინეობა შესდგება 10 სექტემბერს საღამოს 7 საათზე რაიკომის შენობაში.

რუსთაველის თეატრი
სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით
1935—36 წლ. სეზონი.

თეატრის მიერ გამოშვებულია სტუდენტთათვის მეტად შეღავათიანი აბონიმენტები, 10 დადგმაზე დასწრების უფლებით.

სტუდენტთა უკეთ მომსახურეობის მიზნით წელს შემოღებულია აბონიმენტთა ახალი წესი სახელობითი სერიების სახით.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება თეატრის ადმინისტრაციაში და ადგილობრივ თეატრის რწმუნებულთა საშუალებით.

332 4—1 დირექცია.

ოქტომბერი
6-30, 8 30, 10-30
დამკვრელი (საზ.-საზამთ.)
6-45, 8-15 9-40 11
ტემპი (საზაფხ.) ხმოვანი
8, 9-30, 11
რ. ლუქსემბურგის სახ.
5-30, 7-15, 9, 11
მოერი (საზაფხ.)
8-10, 9-45, 11-15
„26"-ის კომ. სახ.
7, 8-30, 10
კომინტერნი საზაფხ.
(დიდუბეში). 9, 10-15

დადგმის მე 4-ე კვირა
ხმოვანი ფილმი პეპო
მე 3 მე სერია
მცდარ კვალზე.

დადგმის მე 4-ე კვირა
ხმოვანი სურათი გ. სუნდუკიანის პიესის მიხედვით
პეპო დადგმა სომხ. სსრ-ის დამსახურებულ [illegible] ა. ბეკ-ნაზაროვისა.

მხატვრ. კომედია
რესპუბლიკის მემკვიდრე პრინცი
საზამთ.—ხმოვ. სურ. ორი დღე
საზაფხ.—კომედია ახალგაზრდობა იმარჯვებს
მცდარ კვალზე 1-ლი სერია.

საქ. სახ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
აცხადებს სუბტროპიკულ კულტურათა ფაკულტეტის 1935 წლის კურსდამთავრებულთა საყურადღებოდ,

რომ სადიპლომო შრომების დაცვა იწარმოებს ა/წ 15 XII-დან. სადიპლომო შრომების წარმოდგენის უკანასკნელი ვადაა პირველი დეკემბერი.

9394 სახ. სამ. ინსტ-ის დირექტორი: პროფ. ან. ბუაჩიძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. გამომცემლობის ხელის მოწერის ბიურო აცხადებს ხელის მომწერლების საყურადღებოდ, რომ გამოვიდა და ურიგდება ხელის მომწერლებს

კ. მარქსის 2 ტომეულის 1 ტომი.

ყველა სკოლის გამგეებს ევალებათ გამოუცხადონ ხელის მომწერ მოსწავლეებს, რომ კუთვნილი წიგნები მიიღონ ფოსტაში, თუ ვინიცობაა თავიანთ წიგნებს არ გამოისყიდიან და ფოსტა დააბრუნებს უკან მათი შეკვეთა გაუქმებული იქნება და შემოტანილი ფული უკან არ დაუბრუნდებათ.

ტფილისის ხელის მომწერლებმა წიგნი უნდა მოიკითხონ: ტფილისი, რუსთაველის პროსპ. № 34, ს. მ. ბიუროში.

2—2 801 ბიურო.

დაკარგულია პასპორტი № 153528 იაკ. ესტატეაძე
ხარიძის სახელზე, ჩ. გ. უფ.

ამხ. სტალინის სახელობის საქ. სასოფლო სამეურნეო უმაღლესი კომუნისტური სკოლის პარტკომი, ლექტორთა და მუშა-მოსამსახურეთა ადგილკომი, სტუდენტთა პროფკომი იუწყებიან ამავე სკოლის პარტკომის მდივნის ვ. ბაბალაშვილის მეუღლის

თამარის

გარდაცვალებას. 9393

უახლოესი ამხანაგები: გ. ზალდასტანიშვილი, ა. კენჭაძე, ვ. ხომასურიძე, გ. აბრამოვი, გ. ლორთქიფანიძე, ს. ნიკოლეიშვილი, ვიშაკიძე, გ. წეროძე, ი. მტკვლებიძე, გ. სტურუა, ს. დუმბაძე, მ. ქურიძე მწუხარებით იუწყებიან ნიკო ნოზაძის მამის

ანდრო ნოზაძის

გარდაცვალებას. 9398

მოსე ყარამანიშვილი, სეკო ქარუმიძე, გიორგი მირიანაშვილი, ლადო ჯალაღანია, კოტე მირთაშვილი, კოტე გოგოლაშვილი, ნინო გოგოლაშვილი, ალ. ბოსტაშვილი, ილია მზიძე მწუხარებით იუწყებიან ამხ. ვანო ბაბალაშვილის მეუღლის

თამარის

უდროოდ გარდაცვალებას. 9400

ღრმად დამწუხრებული შვილები: ვასილ, კაპიტონ, პანტელეიმონ, გალაქტიონ, ელენე, სიძე გრიშა, რძლები: თეკლე, სონია მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი დედის

ფედოსი პაიჭაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ქობულეთში. 9397

ამხ. სტალინის სახელობის საქ. სასოფლო სამეურნეო უმაღლესი კომუნისტური სკოლა ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ამავე სკოლის ლექტორის ამხ. ვ. ბაბალაშვილის მეუღლის

თამარის

გარდაცვალების გამო. 9392

დები: ნინო ნაცვლიშვილი, ქეთევანი ჯანდიერი ქმრით, დარო ბაგრატიონი, სონა ნაცვლიშვილი, მარიამ ვაჩნაძე იუწყებიან

ვახტანგ დიმიტრის-ძე
ნაცვლიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება ქალაქის მე-2 საავადმყოფოდან (ვ. ალექსანდროვის) 9 სექტემბერს 5 საათ. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. 9395

გოგი, კონდრატი და სერგო ახალაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან საყვარელი მამიდაშვილის

ტერეზა თედორეს ასული ახალაძის

უდროოდ გარდაცვალებას 9396

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღებულთა სია

1. ეკონომიური ფაკულტეტი

ამირანაშვილი შალვა სოლომონის-ძე, აკოფოვა ნინა გიორგის ასული, აბაშიძე მერი სიმონის ასული, ამაშუკელი თამარა ივანეს ასული, ამბროლაძე ვლადიმერ ვასილისძე, ანთაძე ნინო ვიაჩესლავის ასული, ანთიძე აფთონ ივანეს ასული, აბაკელია ლავრენტი სანდროს-ძე, ამბოკაძე ვერა გიორგის ასული, აბრამიძე ბაბო ეპიფანეს ასული, ბეჟიტაშვილი იოსები ივანეს-ძე, ბერაია ვალერიან იაროსლავის-ძე, ბახტაძე თამარი ილიკოს ასული, ბერაია თამარი ვლადიმერის ასული, ბარბაქაძე მერი პეტრეს ასული, ბასიაშვილი ანნა მიხეილის ასული, ბოცვაძე კარლო ალექსანდრეს-ძე, ბლუაშვილი მერი ფილიმონის ასული, ბენაშვილი თამარი თომას ასული, ბაბლიძე იასონ სერგოს-ძე, ბალათურია შოთა ივანეს-ძე, ბიწაძე ვარდენ გიორგის-ძე, ბეგაშვილი მარიამ ზაქროს ასული, ბერიშვილი შალვა გრიგოლის-ძე, გოგეშვილი ტატიანა სერგოს ასული, გიგილაშვილი მარიამ ლევანის ასული, გახოკიძე ნატალია ლევანის ასული, გურგენიძე პავლე იოსების-ძე გოგაშვილი ლუბა გიორგის ასული, გორგოშიძე ვალია მოსეს ასული, გოგიტიძე შალვა არსენის-ძე, გოგიშვილი დავით ილიას-ძე, გაბუნია თინათინი ლუკას ასული, გელიაშვილი გიორგი დავითისძე, გობრონიძე ვალერიან ანდრიას-ძე, გვიშიანი ნიკოლოზ სარდიონის-ძე, გოგრიჭიანი აფრასიონ ზაქარიას-ძე, გრძელიძე ოლია მიხეილის ასული, გიოშვილი იოსები ალექსის-ძე, გეგეჭკორი კონსტანტინე თომას-ძე, გოგელიანი ბიკენტი ირაკლის-ძე, გეგელიძე რუსუდან კონსტანტინეს ასული, გველესიანი ქეთევან ვალერიანის ასული, გორგაძე სერგო სპირიდონის-ძე, დვალი ალექსანდრე სამსონიძე, დიდიმამიშვილი რაფო ზაქარიას-ძე, დემურია კალისტრატე მიხეილის-ძე, დრუზაშვილი ვალიკო გაბრიელის-ძე, ესებუა იპოლიტე სოლომონის-ძე, ვაშაკიძე თამარა ალექსანდრეს ასული, ვადაჭკორია ნინა ივანეს ასული, თოფურია გრიგოლი სამსონის-ძე, თხელიძე ოლია გალაქტიონის ასული, თედეევა ვერა გიორგის ასული, თოფურია გრიგოლი სპირიდონის-ძე, თვალაშვილი გრიგოლი კირილეს-ძე იგრიშვილი ნინო ივანეს ასული, ინჯია ნიკოლოზ მოსესძე, ინწკირველი სერგო სამუელის-ძე, იმნაძე მარიამი დიმიტრის ასული, იაკობიძე აკაკი კონსტანტინეს-ძე, კალანდარიშვილი არტემ კირილეს-ძე, კერძაია ლევან მიტროფანეს-ძე, კვაჭაძე ვლადიმერ სიმონის-ძე, კიკიანი ალექსანდრე ფარნას-ძე, კვაჭანტირაძე დავით სამსონის-ძე, კაკელია ტატიანა ვასილის ასული, კუპრავა გრიგოლი ნიკოლოზის-ძე, კრიხელი მოსე იაკობის-ძე, კუჭაიძე თამარი ივანეს ასული, კოკოევა ლუბა გიორგის ასული, კაკელიძე ანდრო ისაკის-ძე, კობახიძე ევნა მაქსიმეს ასული, კუპატაძე ურვან სამსონის-ძე, ლომიძე ალექსანდრე იოსების-ძე, ლაშხი გიორგი დავითის-ძე, ლუხუტაშვილი მარიამ დავითის ასული, ლორთქიფანიძე ალისა ეფრემის ასული, ლობჟანიძე ისმაილ ფარნაოზის-ძე, ლომთათიძე ტიხონ სოლომონისძე, მესხი ელენე მინას ასული, მგალობლიშვილი ალექსანდრე გრიგოლის-ძე, მახარაძე ბორის ვასილის-ძე, მჭედლიშვილი ნიკოლოზ ალექსის-ძე, მინასიანი არჩილ ენუქის-ძე, მუმლაძე აგრაფინა ირაკლის ასული, მაჭავარიანი ნიკოლოზ ილარიონის-ძე, მუმლაძე მარგალიტა დიმიტრის ასული, მოწყობილი ფერიდე დურსუნის ასული, მელაძე გიორგი გიორგის-ძე, მარუაშვილი ალექსანდრე სპირიდონის-ძე, მჭედლიშვილი ნინო გიორგის ასული, მდინარაძე ალექსანდრე მიხეილის-ძე, მაღლაკელიძე ვლადიმერ ტრიფონის-ძე, მაღალაშვილი ქეთევან დავითის ასული, მოსეშვილი ეკატერინე პავლეს ასული, ნიჟარაძე ლავრენტი გიორგის-ძე, ნარიმაშვილი ტერენტი ანტონის-ძე, ნაცვლიშვილი ქეთო ივანეს ასული, ნიკოლაიშვილი მილიცა ვასილის ასული, ნოზაძე ქეთო ილიას ასული, ნიჟარაძე ეფრემ გაბრიელის-ძე, ნადირაშვილი არჩილ სიმონისძე, ნიჟარაძე ნიკოლოზ ბარნაბის-ძე, ნიკოლაიშვილი ტიტე ლუკას-ძე, ორჯონიკიძე ევა მალაქიას ასული, ოზაშვილი თამარი ნიკოლოზის ასული, პაპავა გაბრიელ პავლეს-ძე, პეტრიაშვილის პარმენ კირილეს-ძე, სუხიტაშვილი სოფიო მიხეილის ასული, სამსონია ეთერი სოლომონის ასული, სეფაშვილი დავით მიხას-ძე, საბაშვილი ცეცილია ივანეს ასული, სამხარაძე კალისტრატე ექვთიმეს-ძე, საგინელიძე გიორგი ვასილის-ძე, ტატიშვილი იოსებ დიმიტრის-ძე, ტატანოვა ნუნუ ნიკოლოზის ასული, ტყეშელაშვილი თამარა მათეს ასული, ტუხაშვილი გერმანე პართენის-ძე, უგლავა თინა ივანეს ასული, ფაცურია რაჟდენ შალიკოს-ძე, ფაილოძე ინდიკო პორფილეს-ძე, ფეხვანიძე თამარი ილარიონის ასული, ქათამაძე დავით ფილიპეს-ძე, ქურდიანი ვარლამ თედორესძე, ქუთათელაძე ალექსანდრე იოსების-ძე, ქურდიანი შუშანა ვლადიმერის ასული, ქიტიაშვილი თამარი შიოს ასული, ქელეხსაშვილი აკაკი, ალექსის-ძე, ქასრაშვილი მარიამ პარმენის ასული, ქავთარაძე გიორგი ლევანის-ძე, ღონღაძე მოსე ლუკას-ძე, ღაჭავა გიორგი პავლეს-ძე, ყიფშიძე ირაკლი სიმონის-ძე, ყაზაროვი აშხუნა ისაკის ასული, შენგელია ვლადიმერ სამსონის-ძე, შუღლაძე მიხეილ გიორგის-ძე, შარაშენიძე დიმიტრი ვარლამის-ძე, შენგელია გრიგოლი სევერიანის-ძე შეროზია დიმიტრი დათას-ძე, ჩაღათაშვილი მარიამ ალექსის ასული, ჩნიკვაძე თომა იაკობის-ძე, ჩიხლაძე მიხეილ ილიას-ძე, ჩიტოშვილი ეკატერინე ალექსის ასული, ჩხაიძე სიდონია იასონის ასულ, ჩლაიძე ილია ზაქარიას-ძე, ჩაჩაია მიხეილი მიხეილის-ძე, ჩანჩიბაძე აკაკი ერმილეს-ძე, ჩიკვაიძე გიორგი ნიკოლოზის-ძე, ჩოგოვაძე გრიგოლ სილიბისტროს-ძე, ჩხეტიანი ინდიკო გრამიტონის-ძე, წიფლოშვილი ელიზბარ იაკობის-ძე, ჭელიძე ართიომ მამონტის-ძე, ჭელიძე პეტრე იასონის-ძე, ჭანკვეტაძე მიხეილ არჩილის-ძე, ჭელიძე დიანოზ გაბრიელის-ძე, ხავთასი გრიგოლი კონსტანტინეს-ძე, ხუროშვილი ივანე გიორგის-ძე, ჩხუმაშვილი ოლია ალექსანდრეს ასული, ხიროვა ალექსანდრა ზაქარიას ასული, ჯანელიძე სერგო კოთეს-ძე, ჯიჯეიშვილი პავლე დიმიტრის-ძე, ჯინჭარაძე ნათელა ივანეს ასული, ჯილია სევერიანე მიხეილის ასული.

2. ფიზიკო-მათემატიკური ფაკულტეტი.

აბაშიძე ანტონ კონსტანტინეს-ძე, აფხაზავა ამბროსი ქრისტეფორეს-ძე, აჯიაშვილი იოსებ იაკობის-ძე, აბუთიძე კოტე დომენტის-ძე, ალთუნაშვილი ერვან სერგოს-ძე, აბსანძე ლეონტი ყარამანის-ძე, აბაიაშვილი გრიგოლ ანტონის-ძე, აბაშიძე დარეჯან თეოფილეს ასული, ახათიანი თინა ლევანის ასული, არლუნაშვილი დავით ერმილეს-ძე, არველაძე არსენ ივანეს-ძე, არუჯანიან რუბენ გერასიმეს-ძე, ბიწაძე ანდრო ვასილის-ძე, ბერია ალექსანდრა გერმანეს ასული, ბუაძე ალექსი გიორგის-ძე, ბაგათელია მირიან ჩაზმეტის-ძე, ბარამიძე გრიგოლ ისაკის-ძე, ბარაბაძე შოთა ალექსის-ძე, გვერდწითელი ერეკლე გრიგოლის-ძე, გულუაშვილი ილია თედორეს-ძე, გელაშვილი მიხეილ ნიკოს-ძე, გვაზავა კონსტანტინე ლუკას-ძე, გუგუნავა ვალერიან ივანეს-ძე, გაჩეჩილაძე მედეა ევსევის ასული, გვიჩია [illegible] კაპიტონ ერასტეს-ძე, გაბეჩაძე კონსტანტინე იოსების-ძე, გიორგობიანი ემელიან კონსტანტინეს-ძე, გადახაბაძე მიხეილ ვასილის-ძე, გვენცაძე ნინო რომანოზის ასული, გაფრინდაშვილი გიორგი ქრისტეფორეს-ძე, დონაძე გიორგი არჩილის-ძე, დონჯაშვილი სოსო გიორგის-ძე, დგებუაძე მამია ძუკუს-ძე, დათუკიშვილი მარო მიხეილის ასული, ერქომაიშვილი გიორგი გიორგის-ძე, თურბანდიშვილი პეტრე გიორგის-ძე, თევზაძე ვალერიან ონისიმეს-ძე, თევდორაშვილი იოსებ ეფრემის-ძე, თალაკვაძე ვლადიმერ ივანეს-ძე, იმერლიშვილი ელენე ვასილის ასული, იმოევი ბაგრატ გიორგის-ძე, კომლაძე დავით მალაქიას-ძე, კოლანოვა ალექსანდრე ერმილეს-ძე, კელენჯერიძე კოტე პარმენის-ძე, კალანდაძე შურა ფილიპეს ასული, კიკნაძე ეკატერინე ნიკოლოზის ასული, კიკოლაშვილი ნიკო გაბრიელის-ძე ლატარია სპირიდონ ელიზბარის-ძე, ლაშხი არსენ სიმონის-ძე, ლემონჯავა სერაპიონ ფარნას-ძე, ლონგულაშვილი ალექსი გიორგის-ძე, მახალდიანი აკაკი ლევანის-ძე, მაღლაკელიძე შიო მიტროფანეს-ძე, მაისურაძე ნინო პეტრეს ასული, მიმინოშვილი ალექსი აქსენტის-ძე, მიქაბერიძე სევერიან საკოს-ძე, მეტონიძე ალექსანდრე მელიტონის-ძე, მოზდოკელი ელენე ალექსანდრეს ასული, მუხიგულაშვილი გიორგი სოლომონის-ძე, მეხვიშვილი ალექსანდრე არჩილის-ძე, მამულაშვილი თამარი დავითის ასული, მამია გვანჯი მიხას-ძე, მაჩაიძე გრიგოლ კონსტანტინეს-ძე, მურუსიძე გიორგი იაკინთეს-ძე, მახაშვილი ივანე დიმიტრისძე, ნიშნიანიძე ნუნუ აკაკის ასული, ორჯონიკიძე ქეთო გრიგოლის ასული, ოსიტაშვილი გიორგი საბას-ძე, რაზმაძე ბიკენტი მიხეილის-ძე, როდონაია ალექსანდრე ვახტანგის-ძე, სულაქველიძე ირაკლი ვლადიმერის-ძე, სიმონია ირაკლი გიორგის-ძე, სანიკიძე იპოლიტე მიხეილის-ძე, სიმონია ვახტანგ ტარასის-ძე, ტოროშელიძე სუსანა მალაქიას ასული, უკლება დავით ილიას-ძე, უშვერიძე ალექსანდრე თომას-ძე, ფხალაძე პავლე ეფრემის-ძე, ფაბეშიშვილი სოლომონ ალექსანდრეს-ძე, ქარცივაძე თამარ ნიკოლოზის ასული, ქებაძე ივანე ბესარიონის-ძე, ღუდუნაძე ანნა მიხეილის ასული, ყიფიანი თამარა ვასილის ასული, ყანჩელი თამარ არქიფოს-ძე, ყიფშიძე ნინო ვასილის ასული, შენგელია ირადიონ კოსტასძე, შელეგია ივანე ისიდორეს-ძე, შარაშიძე ივანე ამბაკოსძე, შიხიანი ვლადიმერ სეჩის-ძე, შველაშვილი ზაქარია იორდანეს-ძე, შულაია სერაპიონ მარკოზის-ძე, შონია მიხეილ სოლომონის-ძე, შენგელია ივანე დიმიტრის-ძე, ჩიტაია ნიკოლოზ დიმიტრის-ძე, ჩხეიძე სიმონ ვალერიანის-ძე, ჩხოტუა კონსტანტინე ოთარის-ძე, ჩიქავა აბო მიხეილის-ძე, ჩიმაკაძე არჩილ, ჩილვინაძე ლეონიდე მალაქიას-ძე, ჩიკვილაძე მიხეილ სიმონის-ძე, ცაგარელი ეთერი ივანეს ასული, წურწუმია ნიკოლოზ ვასილის-ძე, წერეთელი გიორგი ილიას-ძე, ჭანიშვილი თამარ მირიანის ასული, ხიდაშელი გრიგოლ ბესარიონის-ძე, ჯაფარიძე თამარ ივანეს ასული, ჯინჯიხაშვილი ბესარიონ იოსეს-ძე, ჯაშიაშვილი იოსები ბესარიონის-ძე.

3. გეოგრაფ - გეოლოგიური ფაკულტეტი

ახთიანი თამარა პავლეს ასული, აფრიდონიძე გრიგოლ გრიგოლის-ძე, ახალაძე დავით გერასიმეს-ძე, ბახტაძე, გრიგოლ სიმონის-ძე, ბერაძე კალისტრატე მიხეილის-ძე, ბაკურაძე ბიძინა ბენედიქტეს-ძე, ბერკაძე ვლადიმერ პავლეს-ძე, ბროძელი ვერა ალექსის ასული, ბალათურია მიხეილ პავლეს-ძე, ბერიძე ვლადიმერ გიორგის-ძე, ბოლქვაძე თამარი ფილიპეს ასული, გაბუნია ზინა ბართლომეს ასული, გოგუაძე თამარა დიომიდეს ასული, გიორგობიანი ვასილ ნიკოლოზის-ძე, გეგეშიძე ალექსანდრე ილარიონის-ძე, გოგია ილია თევდორეს-ძე, გუნია ნინა გიორგის ასული, გეგეჭკორი ნათელა იასონის ასული, გოგიაშვილი ევგენი გიორგის-ძე, დავითიანი დავით არკადის-ძე, დოლონაძე დავით ისიდორეს-ძე, დოლბაია ბაბილინა იასონის ასული, დვალი მიხეილ არსენის-ძე, დაუშვილი ბაგრატ იორდანეს-ძე, დიასამიძე ილია გიორგის-ძე, ერისთავი ლოლო პორფილეს ასული, ზერაგია ლევან ალექსანდრეს-ძე, ზერეკიძე, მარიამ ზაქარიას ასული, ზარდიაშვილი გიორგი ივანეს-ძე, ზარიძე ნინა ანიონის ასული, ზალდასტანიშვილი შოთა თეოფილეს-ძე, ზურაბიშვილი ვალერიან სოლომონის-ძე, თავდუმაძე ალექსანდრე დიმიტრის-ძე, თოდრიძე გრიგოლ ვასილის-ძე, თომაძე დავით პეტრეს-ძე, თხელიძე ანელი ანტონის ასული, ირემაშვილი ანნა ოქროპირის ასული, კაჭახიძე მიხეილ ბარნაბის-ძე, კაკაჩიშვილი პავლე ისიდორეს-ძე, კიკალიშვილი მედეია ხარიტას ასული, კუბლავა ლეონტი პავლეს-ძე, კოლხერი გიორგი ბორისის-ძე, კვიცარიძე რუსუდან მიხეილის ასული, კოლიაშვილი შალვა გიორგის-ძე, კახიანი ალექსანდრე ტარასის-ძე, კეკელია შალვა ლუკას-ძე, კილანავა ნიკოლოზ ჯოჯოს-ძე, კველეიშვილი გიორგი ივანეს-ძე, კახაძე კლავდია დათიკოს ასული, კავკასიძე ლევან პეტრესძე, ლომსაძე აბესალომ ილიას-ძე, ლეჟავა მანუილ ნოშრევანის-ძე, მორჩილაძე სერგო ისაკის-ძე, მღებრიშვილი ბაგრატ არკადის-ძე, მიქიაშვილი ნინო დავითის ასული, მანუჩაროვ მიხეილ შაქროს-ძე, მანჯგალაძე კონსტანტინე იაკობის-ძე, მირცხულავა ტატიანა ისიდორეს ასული, მამალაშვილი შაქრო გიორგის-ძე, მაჭავარიანი ნინო ივანეს ასული, მიქაძე ეკატერინე ივანეს ასული, ნიკოლაიშვილი აკაკი გიორგის-ძე, ნიჟარაძე თინათინ კონსტანტინეს ასული, ნუცუბიძე აპოლონ სამსონის-ძე, ოდიშარია ბიძინა ამბროსის-ძე, ოსიშვილი ვალერიან ქრისტეფორეს-ძე, ოზბეგაშვილი ბაგრატ გიორგის-ძე, პეტრიაშვილი ოლღა ივანეს ასული, ტლამაძე ვენერა სიმონის ასული, რობაქიძე პავლე გიორგის-ძე, რეხვიაშვილი აკაკი პოლიკარპეს-ძე, სართანია ირაკლი ალექსანდრეს-ძე, სალაყაია ვენერა ლევანის ასული, სირაძე ალექსანდრე მათეს-ძე, სტვილია ოლღა დიანოზის ასული, სანიკიძე კონსტანტინე მიხეილისძე, სვანიძე ისაკი ადამის-ძე, ფოჩხუა არკადი პავლეს-ძე, ქურიძე ქეთევან ნოეს ასული, ქუთათელაძე სოფიო მაქსიმეს ასული, ქათამაშვილი რაჟდენ ივანეს-ძე, ქოქხაძე ილარიონ ონისიმეს-ძე, ქურდაძე ირაკლი პავლეს-ძე, ქურდაძე ივანე ისაკის-ძე, ქავთარაძე ივანე რაჟდენის-ძე, ყავრიშვილი ქეთევანი ბესარიონის ასული, შარაშენიძე თამარი მელიტონის ასული, შალამბერიძე კირილე მოსეს-ძე, შარაბიძე ნიკოლოზ მიხეილის-ძე, შავიანიძე მიხეილ ტერენტის-ძე, შარვაძე მიხეილ ტერენტის-ძე, ჩინჩალაძე გიორგი ექვთიმეს-ძე, ჩხენკელი ანდრო დავითის-ძე, ჩივოგიძე ლადო პროკოფის-ძე, ჩოგვაძე ელენე ერასტოს ასული, ჩხაიძე სევერიან მელიტონის-ძე, ჩაჩავა მერი კონსტანტინეს ასული, ცხადაია ტატიანა სტეფანეს ასული, ცინცაძე გივი გერონტის-ძე, წიქვაძე დავით ერმილეს-ძე, ჯავახიშვილი თამარ იოსების ასული, ხუხუნაიშვილი ელენა ყარამანის ასული, ხაროდაშვილი ანიკო კოლას ასული, ხაჩიძე ნატალია ალექსანდრეს ასული, ხოჯაევა მარო ზაქარიას ასული, ხადური მარიამ ივანეს ასული, ხაჩიძე აკაკი ალექსანდრეს-ძე, ხატისკაცი ქეთო ნიკოლოზის ასული.

უნივერსიტეტის რექტორი
კ. ორაგველიძე.

(დასასრული ხვალ).

შემთხვევები

დაჭრა. დააპატიმრეს დ. ა. ჯანაშვილი (19 თებერვლის ქ. 33), რომელმაც ჩხუბის დროს დანით დასჭრა მოქ. შ. ი. ბერძენიშვილი (ლანსკის ქ. 11).

გაუფრთხილებელი სვლა. ავტომანქანა № 1—34, რომელსაც მართავდა შოფერი ფ. მ. სმილეტკოვი (პეტრიწის ქ. 5), კახეთის ქუჩაზე დაეჯახა მოქ. ქურიშვილს (კახეთის ქ. 36) და მსუბუქად დაშავდა.

დაჯახება. მე-11 მარშრუტის ტრამვაის ვაგონი, რომელსაც მართავდა ვატმანი ნ. ა. მარველაშვილი (1 მაისის ქ.), რიყის ქუჩაზე დაეჯახა წინ მიმავალ ტრაქტორს და დაამსხვრია. დამნაშავეებს პასუხისგებაში აძლევენ.

საქ. სამხედრო გზაზე საბურთალოს მახლობლად საბარგო ავტომანქანა № 14—54 (შოფერი პ. ნ. ნოვიკოვი). დაეჯახა წინ მიმავალ ავტომანქანას № 23—94 და მძიმედ დააზიანა ივი.

მისამართები: რედაქციის რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის რ უსთაველის პროსპ. №34 ტელეფონები რედაქტორის 3—62—26, რედაქტორის მოადგილის 3—63—09, პასუხისმგებელი მდივნის 3—08—67, სამდივნოს 3—08—89, მასობრივი განყოფილების 3—78—34, პარტმშენებლობის განყოფილების 3—57—61, სამრეწველო განყოფილების—3—78—40, სტამბის 3—27—04, გამომცემლობის—3—61—81. ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს.

სტამბა „კომუნისტი" კომის ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული ბ. 9311